# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 5 დეკემბერი, 2008 წელი.

№ 228 (6085)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## ლეონიდ ილიჩიდან – მიხეილ ნიკოლაევიჩამდე,



3-4

**ანუ როგორ იქცა საპარლამენტო კომისია შოუდ და რა „მოვიგეთ" ამით**

### ირაკლი ალასანია ოპოზიციაში მიდის?!



2-3

### „კანონიერი ქურდი" თუ პოლიტპატიმარი?

6

### ფერეიდნელმა ქართველებმა გურჯაანი დატოვეს

11

### უგულავას საქანელა გაქანდა



4

### „მდიდრებიც იხდიან"...

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისთვისაც დადგა ანგარიშების გასწორების დრო...

6

### „ნატო დეიდა, ნატო დეიდა!.."



3

### აფხაზებსა და ოსებს ერთჯერადი მოხმარების ნივთივით იხმარენ და... გადააგდებენ

7



## მშენებლობის ბუმია, არქიტექტურა კი უმია...



### კონდოლიზა რაისს აშშ სახელმწიფო მდივნის პოსტზე ჰილარი კლინტონი შეცვლის

8



ინფორმაცია

## ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებს განათავსებენ

**ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების გეგმას მხარი დაუჭირეს. ამის შესახებ „გრანი რუ“ იუწყება.**

როგორც ბრიუსელის სამიტის დასკვნით განცხადებაშია ნათქვამი, სისტემების განთავსება შორი რადიუსის ბალისტიკური რაკეტებისგან მოკავშირე სახელმწიფოების დაცვის საქმეში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

ჩეხეთში რადარის მშენებლობასა და პოლონეთში დამჭერი რაკეტის განთავსებას ალიანსის 26-ივე წევრი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაუჭირეს მხარი.



## იკრძალება კასეტური საბრძოლო მასალა

**კასეტური საბრძოლო მასალების აკრძალვის შესახებ კონვენციას ოსლოში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე უკვე 92 ქვეყანამ მოაწერა ხელი.**

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, ქართული მხარე კონფერენციაში ოფიციალური სტატუსით არ მონაწილეობს, შესაბამისად, დოკუმენტს ჯერჯერობით ხელს არ მოაწერს.

თუმცა, საგარეო უწყების განმარტებით, საქართველო კონვენციასთან მიერთების საკითხს განიხილავს.

პირველები, იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც დოკუმენტს შეუერთდნენ, ნორვეგია, ლაოსი და ლიბანი იყვნენ.

ნატოს 26 ქვეყნიდან ამ ინიციატივას 18-მა ქვეყანამ დაუჭირა მხარი, მათ შორის — დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ და საფრანგეთმა.

დოკუმენტი კასეტური საბრძოლო მასალების გამოყენებას, წარმოებას, ტრანსპორტირებას და შენახვას კრძალავს.

კონვენციასთან მიერთებაზე ოფიციალური უარი განაცხადეს რუსეთმა, აშშ-მა, ისრაელმა, ინდოეთმა, ჩინეთმა, პაკისტანმა და ფინეთმა. ავღანეთმა კი, საკუთარი გადაწყვეტილება შეცვალა და გადაწყვიტა, უარი თქვას კასეტური საბრძოლო მასალების გამოყენებაზე.

## რუსი სამშვიდობოები აფხაზებმა ჩაანაცვლეს

**გალის რაიონის უსაფრთხოების ზონაში რუსული სამშვიდობოები აფხაზმა სამხედროებმა ჩაანაცვლეს. ამის შესახებ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა სოხუმის ტელევიზიის ეთერში განაცხადა.**

— ასეთი საჭიროება არსებობს, რადგან ვიცით, თუ ვისთან გვაქვს საქმე, ვიცით როგორი მეზობელი გვყავს. ყველაზე მთავარია, საზღვრის გამაგრება, — აღნიშნა ბაღაფშმა.

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი ხაზს უსვამს, რომ საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე მოძრაობის რეჟიმი უცვლელი რჩება.

— საქართველოსთან საზღვარი ჩაკეტილია. მისი გადაკვეთა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურის თანამშრომლებს შეუძლიათ. რაც შეეხებათ მოქალაქეებს, ექსტრემალურ სიტუაციაში გალის რაიონის ხელმძღვანელობამ, შესაძლოა, მათზე საშვები გასცეს, — აცხადებს სერგეი ბაღაფში.

რაც შეეხება ევროკავშირის სამხედრო დამკვირვებლებს, სერგეი ბაღაფში აცხადებს, რომ არავინ აფხაზეთის ხელისუფლების ნებართვის გარეშე საზღვარი არ უნდა გადაკვეთოს.

— თუ გაუჩნდებათ ჩვენთან შეხვედრის სურვილი, გვაქვს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომლის მეშვეობითაც უნდა გადაწყდეს ყველა საკითხი, — აცხადებს აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი.

## გალში აფხაზურ პასპორტებს არიგებენ

**აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში აცხადებს, რომ მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა საქართველოს, აფხაზური პასპორტების დარიგების პროცესი გალში უკვე დაიწყეს. ამის შესახებ “ინტერფაქსი“ იტყობინება.**

ოთხშაბათს დე ფაქტო პრეზიდენტმა გალის რაიონში გასვლითი თათბირი გამართა, სადაც პასპორტებისა და საქართველო-აფხაზეთს შორის საზღვრის გამაგრების საკითხები განიხილეს.

**ინტერპრესნიუსი**

გამოცდა ვერ ჩავაბარეთ!

**ნატოს მინისტერიალის მიერ საქართველოსთვის ყოველწლიური სამოქმედო ნაციონალური პროგრამის შეთავაზებაზე და ქვეყნისთვის ამ პროგრამის მნიშვნელობაზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ შალვა ფიჩხაძეს ესაუბრა.**



## შალვა ფიჩხაძე: სამოქმედო ნაციონალური პროგრამა MAP-ამდე მისასვლელად შემოგვთავაზეს

**— ბატონო შალვა, როგორ შეაფასებდით საქართველოსთვის ყოველწლიური სამოქმედო ნაციონალური პროგრამის შეთავაზებას?**

— ეს არის ცდა, რომ ნატო-საქართველოს შორის ურთიერთობებში ვაკუუმი არ გაჩნდეს. სხეფერის ნათქვამს თუ დავესესხებით, ეს არ ნიშნავს, რომ MAP-ი გაქრა; ეს იმას ნიშნავს, რომ ნატოში გაწევრებისთვის MAP-ი გასავლელი გვექნება. სამოქმედო ნაციონალური პროგრამა MAP-ის ნაცვლად არ შემოუთავაზებიათ, იგი შემოგვთავაზეს MAP-ამდე მისასვლელად.

ხელისუფლების მხრიდან იმაზე საუბარი, რომ MAP-ის ნაცვლად ყოველწლიური სამოქმედო ნაციონალური პროგრამა შემოგვთავაზეს, კომენტირებადაც არ ღირს. რა არის წინგადადგმული ნაბიჯი? ის, რომ MAP-ი არ მოგვცეს? თუმცა, ხელისუფლება ხომ არ იტყვის, კარგი არ არისო.

**— MAP-ის მოუცემლობაზე რამდენად იმოქმედა რუსულმა ფაქტორმა და საქართველოში აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა? ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ რუსეთმა მოახერხა ევროპის ქვეყნებში სერიოზული განხეთქილების შეტანა?**

— უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს, რომ MAP-ისთვის მზად არ ვართ. MAP-ის არმოცემაზე რუსულმა ფაქტორმაც და აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმაც იმოქმედა. აგვისტოში განვითარებული მოვლენები საქართველოსთვის, გარკვეულწილად, გამოცდა იყო: რამდენად შეგვიძლია ვაწარმოოთ მშვიდობიანი დიალოგი კონფლიქტურ რეგიონებთან და ცივილიზებულად ვიმოქმედოთ ინტერვენტი რუსეთის მიმართ. ეს გამოცდა ჩვენ ვერ ჩავაბარეთ.

რაც შეეხება იმას, მოახერხა თუ არა რუსეთმა ევროპის ქვეყნებში განხეთქილების შეტანა. რა თქმა უნდა, ასეთი რამ არის, მაგრამ ეს MAP-ის მოუცემლობის ერთადერთი მიზეზი არ არის. მთავარია, ჩვენ ვერ შევძელით დასავლეთისთვის გვეჩვენებინა, რომ კონფლიქტების მოგვარებაში შეუქცევადად ვადგავართ მშვიდობიან გზას; ჩვენ ვერ შევძელით გვეჩვენებინა, რომ დემოკრატიული სახელმწიფო ვართ. დასავლეთზე რუსეთის გავლენა ბალტიისპირეთის ქვეყნების ნატოში გაწევრების დროსაც იყო, მაგრამ მაშინ რუსეთმა დასავლეთის ქვეყნებში ბზარის შეტანა ვერ შესძლო. MAP-ის მოუცემლობაში ყველაფერს სხვას ვერ დავაბრალებთ, საკუთარი ცოდვებიც უნდა მოვიკითხოთ.

**— ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, ამ პროგრამის ფარგლებშიც შესაძლებელია ნატოსკენ თანმიმდევრულად სვლა. რას ითვალისწინებს სამოქმედო ნაციონალური პროგრამა?**

— ცუდი პერსპექტივა არ არის, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის თანამშრომლობა იქნება. სამხედრო თანამშრომლობა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ხომ მთავარი არ არის. თუ თავდაცვით საზენიტო და სატანკო სისტემების საკითხებში თანამშრომლობა გვექნება, კარგია, მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა იმაზე საუბარი, რომ თუ ეს სისტემები გვექნება, რუსეთის ავიაციას მოვიგერიებთ და რუსებს ომს მოვუგებთ. მთავარია, ჩვენ თვითონ რას გავაკეთებთ, რათა გავხდეთ უფრო დემოკრატიული და კონფლიქტების მოგვარების მიზნით მოლაპარაკებებისთვის მზადმყოფ ქვეყნად. უფრო დემოკრატიულ ქვეყნად ნატო ვერ გვაქცევს, ეს ჩვენ უნდა გავაკეთოთ.

**— ბევრი მიიჩნევს, რომ ევროპა ვერ იღებს გადაწყვეტილებებს, ვიდრე საერთაშორისო პოლიტიკაში სრულფასოვნად არ ჩაერთვება აშშ. თქვენი აზრით, მას შემდეგ, რაც ობამა თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტს დაიკავებს, რა ცვლილებებს შეიძლება ველოდოთ ევროპა-რუსეთისა და აშშ-რუსეთის ურთიერთობებში?**



— ობამასაც აქვს ნათქვამი, რომ სურს ნატოს გაფართოება, საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრება. რამდენად შეძლებს ის, დაარწმუნოს ევროპელი ლიდერები უკრაინისა და საქართველოს გაწევრების აუცილებლობაში, ძნელი სათქმელია. ეჭვი მეპარება, რომ ევროპელების დარწმუნების მეტი ბერკეტები ჰქონდეს, ვიდრე ბუშს ჰქონდა. ალბათ ბარაკ ობამასაც იგივე ბერკეტები ექნება.

საქმე ის არ არის, რომ ამერიკამ ევროპელებს საქართველოს ნატოში მიღება აიძულოს. ასე საქმე არ კეთდება. ჩემი აზრით, ევროპელებმა უნდა მიიჩნიონ, რომ ჩვენ ნატოში გაწევრების ღირსი ვართ. ახლა ხომ ცივი ომის პერიოდი არ არის, რომ ქვეყნები საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანდნენ.

**კობა ბენდელიანი**

SIC!

# ირაკლი ალასანია



**უახლოეს დღეებში ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებასა თუ ყოფაში ადგილს ახალი სახე დაიმკვიდრებს. ქართულ პოლიტიკაში აქტიურ საქმიანობას ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი და რეიტინგული ფიგურა — ირაკლი ალასანია დაიწყებს.**

**ალასანიას აქტიურ პოლიტიკურ არენაზე გამოჩენა თავდაყირა დააყენებს ყველას და ყველაფერს, მით უფრო, რომ ალასანია არც პრემიერობას აპირებს, არც რომელიმე მინისტრის პორტფელის დაპატრონებას. ალასანია ოპოზიციაში მიდის! თავისი გადაწყვეტილებით, იგი მიხეილ სააკაშვილსა და მმართველ გუნდს უდიდეს დარტყმას მიაყენებს.**

სავარაუდოდ, ხელისუფლება ირაკლი ალასანიას გადაწყვეტლებას ჩვეულ სტილში მოუძებნის გამართლებას და განაცხადებს, რომ მისი დამსახურებების მიუხედავად, ალასანიას სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობაზე ყოფნა იყო შეცდომა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ნებისიერი ასეთი განცხადება, რასაც ხელისუფლება ბოლო პერიოდში სხვათა და სხვათა ბაგეთაგან სულ უფრო და უფრო ხშირად იმეორებს, საზოგადოებაში უკურეაქციას იწვევს.

ალასანიას განდგომა ხელისუფლებისთვის შესაძლებელია იმაზე მეტად დამანგრეველი აღმოჩნდეს, ვიდრე 2007 წლის 7 ნოემბერი და ამან თერაპიულ განყოფილებაში მყოფი უმრავლესობა რეანიმაციაში გასაყვანი გახადოს. მერე რა მოხდება, ამას უკვე დრო გვანახებს.

ალასანია ქართულ პოლიტიკაში ჟანჟიკის ან ფასადის როლს არ იკისრებს — ეს ფაქტია. არსებობს მოარული ხმები იმის შესახებ, თუ როგორ შესთავაზა თვითმფრინავში მას საქართველოს პრეზიდენტმა პრემიერის პოსტი და როგორ განაცხადა უარი ალასანიამ მას შემდეგ, რაც გაარკვია, რომ იგი მხოლოდ ფასადად სჭირდებოდათ.

ფაქტია ისიც, რომ ამ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, იგი ქართული პოლიტიკის ოპოზიციურ სპექტრში გადატრიალებას მოახდენს და ერთბაშად გადაფარავს ყველა ოპოზიციური ლიდერის გაცვეთილ თუ გადაღლილ სახეს.

ირაკლი ალასანია თავისი ბუნებით არ განეკუთვნება იმ ადამიანთა კატეგორიას, რომელიც შეიძლება ვითარების „აყროლებას“ შეეცდება და ისეთ ინფორმაციას, რომელთაც ხანდაზმულობის ვადა არ გააჩნია, სამზეოზე არ გამოიტანს.

ამ ფონზე, ხელისუფლებაში ამჟამად მიმდინარეობს მექანიზმებისა და პერსონების ძებნა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ალასანიას ამბიციების დაკმაყოფილება, რაც უდავოდ არასწორი შეფასებაა, რადგან სათუოა, ალასანიას მხოლოდ ამბიცია ამოძრავებდეს.

საგულისხმო და ყურადსაღები ხდება ეროსი კიწმარიშვილის კომენტარიც. მისი თქმით, ალასანია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, საგარეო პოლიტიკასა და რუსეთთან ურთიერთობას სულაც არ უყურებდა იმავე პრიზმაში, რომელშიც საქართველოს ხელისუფლება.

„სამშვიდობო პოლიტიკის თვალსაზრისით ირაკლი ალასანიაც ჩემს აზრს იზიარებდა“, — განაცხადა კიწმარიშვილმა საჯარო დაკითხვისას, რითაც საზოგადოებაში ალასანიას მიმართ არსებულ ბუნდოვან, მაგრამ პოზიტიურ კონტურებს კონკრეტული შტრიხები შესძინა.

კიწმარიშვილის განცხადება რომც არ ყოფილიყო, არსებობს კონკრეტული კომენტარი, რომელიც აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ საგენტო „ჯი-ეიჩ-ენის“ ჟურნალისტს მისცა.

„ირაკლი ალასანიას მიერ სოხუმში ჩამოტანილი წინადადებები რომ შესრულებულიყო, გარწმუნებთ, აგვისტოს მოვლენები არ მოხდებოდა და საქართველოსა და აფხაზეთს ასევე საქართველოსა და რუსეთს შორის დღეს სულ სხვა ურთიერთობები იქნებოდა“, — განუცხადა შამბამ „ჯი-ეიჩ-ენს“.

ამავდროულად, დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ირაკლი ალასანიასთან მოლაპარაკების შემდეგ საქართველოს მიერ კოდორის ხეობაში

ვაი ჩვენს პატრონს!

# „ნატო დეიდა, ნატო დეიდა“...



**„ისტორიამ ტრაგიკული გაკვეთილი ჩაგვიტარა, საქართველოს გალავანი დანგრეულია და ამ ყველაფრის მიზეზი გახდა სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის პათოლოგიურ-ისტერიული სწრაფვა ნატოსკენ“, — ამ სიტყვებით დაიწყო ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 2-3 დეკემბრის სამიტის შედეგების თაობაზე გამართული საგანგებო პრესკონფერენცია, სადაც მან, ქვეყნის სამომავლო სტრატეგიაზე საუბრისას, ხაზგასმით აღნიშნა, რომ სუვერენული სახელმწიფოს — საქართველოს ბედი არ უნდა იყოს რომელიმე სამხედრო ბლოკის გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული.**

„ჩვენი სტრატეგია უნდა გახდეს დამოუკიდებელი, სუვერენული, ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა ყოველგვარი სამხედრო ბლოკებში გაუწევრებლად. საქართველოში მცხოვრებმა ხალხმა, ადამიანებმა ერთხელ და სამუდამოდ თავი უნდა იგრძნონ დამოუკიდებელი ქვეყნის დამოუკიდებელ მოქალაქეებად და არა რომელიმე ალიანსის კართან მდგარ მათხოვრად. მხოლოდ ეს გადაარჩენს საქართველოს, მხოლოდ ეს დაგვიბრუნებს ტერიტორიებს და აგვაწევინებს თავს მაღლა ისე, როგორც ჩვენ გვეკადრება. სხვა შემთხვევაში, ყოველთვის ვიქნებით ზესახელმწიფოთა შორის საბრძოლო არეალი, რის შედეგადაც ყოველთვის ჩამოგვაჭრიან ყველაზე მსუყე-მსუყე ნაწილებს და მომავალ თაობას, ჩვენსავით არასდროს არ ექნება ღირსეული მომავალი.

...ჩვენ ისეთი მთავრობა უნდა მოვიყვანოთ, რომელიც არ იქნება მართული არც ვაშინგტონიდან, არც მოსკოვიდან, არც ბრიუსელიდან და არც პეკინიდან. უნდა ვიცხოვროთ ისე, როგორც ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის ორი მესამედი: დუბაი, კუვეიტი, ინდოეთი, ახალი ზელანდია, ტაილანდი, ვიეტნამი, კამბოჯა, ირანი და სხვები. ეს ქვეყნები არც ერთ სამხედრო ბლოკში არ არიან, მაგრამ ჩვენზე გაცილებით უკეთესად ცხოვრობენ, გაცილებით უკეთესი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ.

ჩვენც უნდა ვისწავლოთ ასე ცხოვრება, ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ჩვენს გამო სხვა არავინ თავს საფრთხეში არ ჩაიგდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კინოფილმ „სხვისი შვილებისა არ იყოს“, ბავშვები „ნატო დეიდა, ნატო დეიდას“ ძახილით რომ მისდევენ მატარებელს, ყოველთვის საშველად ხელგაწვდილის პოზიციაში ვიქნებით და მშველელიც არავინ გვეყოლება“, — დასძინა შალვა ნათელაშვილმა.

**ჯაბა ჟვანია.**

ინფორმაცია

## რუსეთი მსხვერპლის პოზიციიდან საუბრობს

**ნატოს გენერალური მდივანი იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთთან ურთიერთობების არაფორმალურ ფორმატში აღდგენა ალიანსს საშუალებას მისცემს გაარკვიოს, რუსეთს ნატოს გაფართოება რატომ აწუხებს. ალიანსის გენერალურმა მდივანმა, იაპ დე ჰოპ სხეფერმა ამის შესახებ გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსთან“ ინტერვიუში განაცხადა.**

**მისი თქმით, რუსეთი მუდმივად მსხვერპლის პოზიციიდან საუბრობს, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის.**

**ჩვენ მზად ვართ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს დაველაპარაკოთ და დავარწმუნოთ, რომ მის საზღვრებთან დემოკრატიული ქვეყნების არსებობა პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს, — აცხადებს სხეფერი.**

**ალიანსის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ აინტერესებს რუსეთთან გაარკვიოს, რა დგას საქართველოსთან წარმოებული ომის უკან და როგორ აღიქვამს მოსკოვი გადამეტებული ძალის გამოყენებას.**

ХИ-ЭЙЧ-ЭН

რა დღეშიც ვართ!

# ლეონიდ ილიჩიდან – მიხეილ ნიკოლაევიჩამდე,

## ანუ როგორ იქცა საპარლამენტო კომისია შოუდ და რა „მოვიგეთ“ ამით

*არა, ძმაო, მიშა მართლა მაგარი ყოფილა: გასულ პარასკევს ბრეჟნევიდან დაწყებული, ფიდელ კასტრომდე გავლით, პროპაგანდისტული ლაილაის ყველა რეკორდი მოხსნა. ხუმრობა საქმეა?, 5 საათი „ბეზპერერივა“ ილაპარაკა! ჯერ მარტო ამდენი ხანი უჭმელობა არ გინდა? ბოროტი ენები ამბობენ, 5-საათიანი ლაპარაკისგან პირი ისე გაშრობია, „დაკითხვიდან“ პირდაპირ იაპონურ რესტორანში წასულა და „სუშნიაკზე“ N რაოდენობის სუში დაუთოხლავებიაო.*

ღმერთმა შეარგოს. მით უმეტეს, რომ პირადად მე ეგზოტიკურ სუშს მამაპაპური ხინკალ-ქაბაბი მირჩევნია. ისე, სიტყვამ მოიტანა და, თუ იმ ვახსენე. ლეონიდ ილიჩი ბუნდოვნად სკკპ XXII ყრილობიდან მახსოვს. ბავშვი ვიყავი მაშინ. შემდეგი ყრილობები უფრო ცხადად მახსოვს. მაშინ ასე იყო მართალია, მაშინ ე.წ. „Застои“ — უძრაობის პერიოდი იყო, მაგრამ სამაგიეროდ ქართული კულტურის — ლიტერატურის, კინოს ნამდვილი ოქროს ხანა იდგა.

დღევანდელ ერთობ „ამოძრავებულ“ საქართველოში კი სოხუმიც დავკარგეთ თავის კოდორიანად და ცხინვალიც ახალგორთან ერთად. ახლა მკითხველმა განსაჯოს — ლეონიდ ილიჩის უძრაობა სჯობდა თუ მიხეილ ნიკოლაევიჩის მოძრაობა.

ხალხს, ვისაც მამა-შვილი ბულაძეების მხატვრობა-ლიტერატურას რეპინი-ტოლსტოების ტილო-რომანები გვირჩევნია, კრემლის აგენტებს გვეძახიან, იაპონური სუშის მოყვარული პრეზიდენტი რატომ არ შეიძლება იაპონიის აგენტი იყოს?

ახლა ვინმე იტყვის და, ალბათ, სადღაც სამართლიანადაც — რა დროს ხუმრობაა, სალაღობოდ გვაქვს საქმეო? ნამდვილად არა, მაგრამ პაატა დავითაიას კომისიას რომ ჰკითხო, ის, რაც მოხდა, დემოკრატიის „მეორე ტალღის“ დგაფუნში პრეზიდენტის ნამდვილი დაკითხვა იყოო, გეტყვიან. ამისთვის სერიოზულად, უიუმოროდ შეხედვაც კი ნორმალური ადამიანისთვის ნაღდად ძნელია. თუმცა მაინც ვცადე და ერთ პოლიტოლოგს ვთხოვე პრეზიდენტის მრავალსაათიანი გამოსვლის კომენტირება. ვერაო, მითხრა, ეგ ამბავი ფსიქოლოგების საქმე უფროა, ვიდრე პოლიტოლოგებისაო. ან...

ეს „ან“ ჩემია და ამიტომ ერთ რამეს დავამატებ. სათაურში „სულმნათი“ ლიონია ბრეჟნევი



— ყოველ ყრილობაზე სკკპ „გენსეკის“ მიერ წარმოთქმული სიტყვიდან მაშინდელი იდეოლოგები მოკლე დაიჯესტს აკეთებდნენ, რაც, თეზისების სახით, მომდევნო 5 წლის განმავლობაში ქვეყნის განვითარების პროგრამა იყო. იმედია, ამ საქმეს დღეს ქეთუსია იგნატოვა ითავებს და მომავალ თაობებს არ დაუკარგავს მიშას ბრძნულ ნაკვესებს.

ისე, მეც კარგი ვინმე ვარ. რას ვერჩი ლეონიდ ილიჩს და ამ მურაბა ადამიანს საფლავში რად არ ვაყენებ? რა დაგვიშავა?

### „ყველა ადამის შვილნი ვართ, თათარიც ჩემი ძმა არის“

**უნდა ვაღიარო, რომ ჩემი პროფესიული ვალი ვერ შევასრულე და სააკაშვილის 5-საათიანი პროპაგანდისტული მონოლოგისთვის არ მიყურებია, რადგან საამისოდ ნერვები არ მეყო.** მხოლოდ შიგა და შიგ თუ გადავრთავდი ტელევიზორს. იმ საღამოს ისევ აქუვიზიის „ბარიერმა“ მიშველა. იქიდან შევიტყვე, მეტ-ნაკლებად მაინც, რაზე ლაილაობდა ნაცების უშიშარი პრეზიდენტი. და ყველაზე მთავარი...

ჩვენ რომ დავითაიას დროებითი საგამოძიებო კომისია ლამის უორენის კომისია გვეგონა, თურმე ნურას უკაცრავად — ტელეშოუ ყოფილა. ეს თავად აღიარეს კომისიის „ოპოზიციურმა“ წევრებმა ნიკა ლალიაშვილმა და დიმიტრი ლორთქიფანიძემ. აქამდე თუ ვანო ჯავახიშვილის თუ სხვათა შოუები ვიცოდით, ეს ბოლო ორი თვეა, თურმე, პაატა დავითაიას „ჩვენ თვითონ“ ტელეშოუს გვაყურებინებენ.

იხ. 4 გვ.

SIC!

# ოპოზიციაში მიდის?!

ჯარის შეყვანის გამო შექმნილი კრიზისიდან გამოსავალი მოინახა და არაორაზროვნად დასძინა: „ნაადრევია საუბარი იმაზე, ირაკლი ალასანიას მიერ საქართველოში რომელიმე უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, დასთანხმდება თუ არა აფხაზეთი ორ თანასწორუფლებიან სუბიექტის — საქართველოსა და აფხაზეთის ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრებას. ეს მოვლენების წინ გასწრებას ჰგავს. მოდით, ჯერ თავად ირაკლი ალასანიას ჰკითხეთ — სურს თუ არა მას საქართველოს უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში რაიმე თანამდებობა. ისიც არ ვიცი, როგორ აისახება ჩემი ეს სიტყვები ყოველივეზე“.

**მოკლედ, რაღაც ხდება, და თანაც ისეთი, რაც ჩვენ არ ვიცით...**

ახლა კვლავ ირაკლი ალასანიაზე. ალასანია, სავარაუდოდ, არ შექმნის ახალ პარტიას და არჩევანს უკვე არსებული პარტიებიდან ერთ-ერთზე გააკეთებს. არსებული ინფორმაციით, ალასანია საერთო ენას რესპუბლიკელებთან გამონახავს. ამას მიმდინარე ეტაპზე, რესპუბლიკელთა ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი არ ადასტურებს. იგი მედიასაშუალებებს წინასწარი დასკვნებისა თუ ვარაუდების გამოთქმისგან თავშეკავებას ურჩევს.

„ვინ შემოვა პარტიაში, ვისთან გავერთიანდებით და სხვა შესაბამისი საკითხების შესახებ საუბარი, ვიდრე თავად პარტია არ გააკეთებს საჯარო განცხადებას

**მმართველ გუნდს დიდი დარტყმა მოელის**

ჭორია და ამას, რასაკვირველია, არც დავადასტურებ და არც უარვყოფ“, — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ ბერძენიშვილმა.

ერთადერთი მინიშნება, რომელმაც ჩვენი ინფორმაციის სისწორეში დაგვარწმუნა, ბერძენიშვილმა შემდეგი სახით მოგვაწოდა: „მესამე თვეა ინტენსიურად, თითქმის ყოველდღიურად წერენ, რომ ჩვენ ბურჯანაძესთან ვერთიანდებით. არა ბატონო, არ ვერთიანდებით, და დედას ხომ არ დავიფიცებთ?“ ალასანიას შემთხვევაში ასეთი მკვეთრი უარყოფა არ მომხდარა. თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ უახლოეს მომავალში არ არის გამორიცხული „რესპუბლიკელებისა“ და „მემარჯვენეების“ გაერთიანება, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ალასანიამ არჩევანი ამ გაერთიანების სასარგებლოდ გააკეთოს.

„ახლებისა“ და „რესპუბლიკელების“ პოლიტიკური პასუხისმგებლობა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის აუცილებლობითაა განპირობებული, ამიტომ ეს ალიანსი მოკლევადიანი ვერ იქნება. ამის შესახებ სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ „ახალი მემარჯვენეების“ წევრმა მამუკა კაციტაძემ განუცხადა.

თუ კაციტაძის მიერ გახმოვანებულ გაერთიანებას ირაკლი ალასანიაც დაემატა, ნათელი გახდება, რომ ამ მიმართებით არც ერთი მათგანის მიერ გადადგმული ნაბიჯი იმპულსურ-ემოციური ქმედება არ არის. მემარჯვენეებისა და რესპუბლიკელების ალიანსთან დაკავშირებით მამუკა კაციტაძე აცხადებს, რომ ნიადაგი დიდი ხანია მზადდება.

„რესპუბლიკელებთან“ ურთიერთთანამშრომლობისთვის ნიადაგს დიდი ხანია ვამზადებთ. გვაქვს პრეტენზია, რომ პოლიტიკური პარტნიორობა გრძელვადიანი იყოს, ურთიერთობას შესაძლოა ალიანსის, პოლიტიკური ბლოკის ფორმა მიეცეს, ხოლო პასუხისმგებლობა გათვლილია არა კონკრეტულ არჩევნებზე, არამედ არჩევნების შემდგომ პერიოდზე. „რესპუბლიკელებთან“ ყველა საკითხზე გვაქვს მსჯელობა, რაც კი პოლიტიკური სივრცისთვის, პოლიტიკოსისთვის და ქვეყნისთვის არის მნიშვნელოვანი“, — განაცხადა კაციტაძემ.

**ნათელია, რომ ქართულ პოლიტიკურ არენაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მზადდება. ვიცით, რომ პარტიები გაერთიანებას აპირებენ, ასპარეზზე მრავალი ყოფილი სახელისუფლებო სახე ახალ ამპლუაში ბრუნდება. ლოგიკურია ის გარემოებაც, რომ ნებისმიერ გაერთიანებას სჭირდება ლიდერი — პირველი პირი. შესაბამისად, არც ისაა ლოგიკას მოკლებული, რომ ორივე პარტია ნამდვილად არ განიცდის ლიდერების დეფიციტს, მაგრამ გაერთიანების შემთხვევაში მათ ნამდვილად სჭირდებათ ახალი ლიდერი.**

**გოჩა მირცხულავა**

დედაქალაქი

# უგულავას საქანელა გაქანდა

**რუსეთთან სამხედრო და პოლიტიკური მარცხის შემდეგ ხელისუფლება მოლბა. გამოსცა ამნისტია, შეწყალების აქტი, გვპირდება საშემოსავლო გადასახადების დაბეგვრის პროცენტების შემცირებას და სხვ. თუმცა, როგორც ჩანს, ხელისუფლება მორიგ ბლეფს მიმართავს, წლების განმავლობაში აპრობირებულ ხერხს იყენებს, სიტყვით აშენებას გვპირდება, საქმით კი გვანგრევს.**

## „საქანელას“ პრეისტორია

**საქანელას ქუჩა იმ ტერიტორიას მიეკუთვნება, რომელიც უცხოელმა ინვესტორმა სასტუმრო „ივერიის“ მიმდებარე ტერიტორიის 90 პროცენტის შესყიდვის დროს შეიძინა.** მოლაპარაკება მცხოვრებლებთან 5 წლის წინათ დაიწყო, მაგრამ ინვესტორის წინადადებები მოსახლეობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მიწის ახალი მფლობელი კუთვნილზე კოლმპლექს „საქანელას“ აშენებას გეგმავს. უარის მიღების შემდეგ მოსახლეობაზე დაიწყო სხვადასხვა გზებით ზეწოლა. ყოველივემ აპოგეას 6 თვის წინათ მიაღწია. „ყაზტრანსგაზმა“ კეთილსინდისიერ და არგადამხდელ საქანელას ქუჩის მცხოვრებლებს შეუწყვიტა ბუნებრივი აირის მიწოდება. მოსახლეობის აღშფოთებას ყაზახური კომპანიის გასაოცარი პასუხი მოჰყვა — **ალგიდგებათ გაზი, თუ ინვესტორს მოელაპარაკებითო!**

გაზის გათიშვას უმალ მოჰყვა წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტაც. მცხოვრებლები აქაც იგივე პასუხებს ღებულობდნენ. ჩაქრობებსა და გათიშვებს თან ახლდა მერიის სხვადასხვა სამსახურების ემისართა ვოიაჟები. ისინი ადგილობრივებს მოუწოდებდნენ, უხსნიდნენ, აიძულებდნენ დაეტოვებინათ იქაურობა.

როდესაც შეგონებებით ვერაფერს გახდნენ, ხელისუფლებამ მისთვის ჩვეული — მუსკულების გამოჩენის მეთოდის გამოყენება გადაწყვიტა. 10-ზე მეტი კაცი ყოველგვარი წინასწარი შეთანხმებისა და გაფრთხილების გარეშე შეიჭრა საქანელას ქუჩა 37-ის მცხოვრებთა სახლებში. მათ გინება და მუქარა არ დაუკლიათ დამხვდურებისთვის. მერე კუნთმაგარი სტუმრები საქმეზე გადავიდნენ, არ ინდობდნენ ქალებსა და ბავშვებსაც კი. მცხოვრებლები ეხვეწებოდნენ ვანდალებს ეჩვენებინათ მათთვის სასამართლო ან სხვა უწყების დადგენილება, მათგანვე მოითხოვდნენ „მნგრეველი“ ორგანიზაციისა და საკუთარი პიროვნებების დასახელებას. დატერორებულმა ხალხმა მხოლოდ იმის გარკვევა მოახერხა, რომ მათ ბინებს ქალაქის მერის გიგი უგულავას სიტყვიერი განკარგულებით მერიის ზედამხედველობის სამსახური უნგრევდათ. ზონდერ ჯგუფის ხელმძღვანელი კი ამავე სამსახურის წარმომადგენლები დავით ანდღულაძე და ზვიად კერვალიშვილი ყოფილან.

## დახმარებას ტყუილად ელოდნენ

**გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა საქანელას 37-ის მცხოვრებლებმა არაერთგზის მიმართეს „პატრულსა“ და კრიმინალურ პოლიციას.** სამართალდამცავები ყოველ გამოძახებაზე რეაგირებდნენ, თუმცა მნგრეველების ხელმძღვანელებთან ხანმოკლე გასაუბრების შემდეგ, უსიტყვოდ ტოვებდნენ ტერიტორიას. უშედეგო სიარულით თავმობეზრებული პოლიციელები ბოლოს გამოძახებებზეც აღარ რეაგირებდნენ.

მოსახლეობისთვის ბოლო იმედი სახალხო დამცველის ოფისი რჩებოდა. მათ საშველად **სუბარის მოადგილე სოფო ხორგუანი მოვიდა.** იგი თვითონ შეესწრო უკანონო ნგრევის ფაქტს. იმის მომსწრეც გახდა, რომ ნგრევის პროცესში უსაფრთხოების ელემენტარული ზომებიც არ იყო დაცული. ხორგუანს ვერ აჩვენეს ნგრევის ნებართვა. მხოლოდ იმას გაიძახოდნენ — უგულავას მითითებითააო! სახალხო დამცველმა სთხოვა კერვალიშვილსა და ანდღულაძეს საქმის საბოლოო გარკვევამდე მშენებლობის დროებითი შეწყვეტა მოსთხოვა. „მნგრეველები“ თითქოს დაეთანხმნენ ხორგუანს, მაგრამ მისი წასვლისთანავე (უკვე ღამის პირველი საათი იყოძ ნგრევა განახლდა.

ბოძებს, აგურებს, თუნუქის ფურცლებს, დამტვრეულ მინებს პირდაპირ სახურავიდან ყრიდნენ. მთელი ღამე გრძელდებოდა ნგრევა, არ გაჩერებულა პნევმატური ჩაქუჩი. დაზაფრულმა ხალხმა მთელი ღამე ღია ცის ქვეშ გაატარა. თოთო ბავშვების მშობლებს უგულავას ხალხი შვილებისთვის თეთრეულის გამოცვლის საშუალებას არ აძლევდა. მომხდარის გახმაურების შიშით მერიიდან გამოგზავნილებმა უკანონობა მხოლოდ დილისთვის შეაჩერეს. მაგრამ მათ უკვე ძირითადი საქმე მოთავებული ჰქონდათ. ხალხს არა მხოლოდ მორალური, არამედ უდიდესი მატერიალური ზარალი მიაყენეს.

უგულავას კანტორის დიდი მცდელობის მიუხედავად, საქანელას ქუჩის „საქანელას“ კომპლექსთან დაკავშირებული უკანონო ნგრევის ფაქტი მაინც გახმაურდა. როდესაც სახალხო დამცველის ოფისმა და მასმედიამ კომენტარებისთვის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილეს დავით ავალიანს მიაკითხეს, შეშინებულმა ჩინოვნიკმა ჯერ იუარა, ჩვენ არაფერი ვიცოდითო. შემდეგ კი ცინიზმით სავსე განცხადება გააკეთა — ჩვენი თანამშრომლები საქანელას ქუჩაზე იმ მიზეზის გამო იმყოფებოდნენ, რომ ნგრევის პროცესში მყოფი მოსახ-



ლეობა გაუთვალისწინებელი შედეგებისგან დაგვეცვაო (?!ძ.

სიმართლის პოვნის იმედდაკარგულმა ხალხმა ომბუდსმენს სოზარ სუბარს მიმართა.

## რას მოიტანს სუბარის მიმართვა

**სუბარის უწყებამ ჩვეული გულისხმიერებით შეისწავლა საქანელას 37-ში შექმნილი მდგომარეობა, გააანალიზა მცხოვრებთა გაუსაძლისი ყოფა: საქანელას 37-ში მდებარე სახლის შესყიდვა სურს ინვესტორს, მაგრამ მოსახლეობასთან მოლაპარაკების გზით საწადელს ვერ მიაღწია.** აღსანიშნავია, რომ საქანელას 35-ში მდებარე სახლი უკვე შეისყიდა კომპანია „ცენტრ-პოინტმა“ და შენობის დემონტაჟს შეუდგა. სახალხო დამცველის წარმომადგენლები 3 დღის განმავლობაში გვერდით ედგნენ საქანელას ქუჩის მოსახლეობას და ხელს უშლიდნენ ინვესტორს დემონტაჟისთვის მძიმე ტექნიკა გამოეყენებინა.

დასანგრევი შენობა მჭიდროდ ემიჯნება სხვა შენობებს. შესაბამისად, მისი დემონტაჟისას უსაფრთხოების ზომები ისე უნდა იყოს დაცული, რომ გვერდით მდგარი შენობები არ დაზიანდეს.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა არა ერთხელ მიმართეს მერიის ზედამხედველობის სამსახურს, რომ კომპანია დემონტაჟის დროს არ იცავდა უსაფრთხოების ნორმებს. არ ხდებოდა მტვრისგან დამცავი ბადის დასველება, რაც გაუსაძლის ბუღს იწვევდა. არ იყო შემოღობილი სამუშაო ადგილი და საფრთხე უბრალო გამვლელებსაც ემუქრებოდათ.

კომპანია სამუშაოებს მხოლოდ ღამის საათებში აწარმოებდა და ქუჩის მცხოვრებლებს სხვა პრობლემებთან ერთად, ხმაურიც აწუხებდათ.

სუბარი თავის განცხადებაში საუბრობს მთელ იმ უკანონობის კრებულზე, რაც ნგრევისა და მოსახლეობის სახლებიდან უხეში ძალის გამოყენების გამოყრის დროს ხდებოდა და ხაზს უსვამს, რომ: **„კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლებების გაუქმება, გარდა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისა. საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს დადგენილებით, ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით“.**

მომხდარის შესახებ სახალხო დამცველმა თბილისის პროკურატურას მიმართა და მისგან საქმის ზედმიწევნით შესწავლა ითხოვა.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ ომბუდსმენის მორიგი წერილიც ურეაგირებოდ დარჩება. ხელისუფლება საკუთარ თავს ხომ არ გამოუტანს განაჩენს — აღნიშნავენ ისინი.

**ზაზა ბილიხოძე**

რა დღეშიც ვართ!

# ლეონიდ ილიჩიდან – მიხეილ ნიკოლაევიჩამდე

(მესამე გვერდიდან)

იმით „გაკვირვებულმა“ ნინო ჯანგირაშვილმა, რომ ის აგრესია და რისხვა, რაც ეროსი კიწმარიშვილს დაატეხეს, პრეზიდენტის „დაკითხვისას“ გაზაფხულის თოვლივით რომ გამქრალიყო, დიმა ლორთქიფანიძეს ჰკითხა, — ერთხელ მაინც როგორ არავინ გააწყვეტინეთ მონოლოგი, მტრედებივით რომ ღუღუნებდით, ერთი ჩამჭრელი კითხვა მაინც როგორ ვერ დაუსვითო?

პასუხად რა მოვისმინეთ? რა და, დიმიტრი ბატონმა ლამის მთელს სტუდიას კრემლის აგენტობაში დასდო ბრალი, იმ დიმა ლორთქიფანიძემ, ვინც თურმე კახა კუკავას საარჩევნო შტაბის უფროსი ყოფილა და ყველაზე მძაფრად სწორედ სტუდიაში მყოფ კუკავას უტევდა. ახია, კახა, შენზე, — იწანწალე ახლა ქუჩა-ქუჩა, ქუჩის ოპოზიციაში, დიმა ლორთქიფანიძე კი პარლამენტში „კანონშემოქმედებს“.

ე. წ. ჩამჭრელი კითხვების მეტი რა არის, მაგრამ საკუთარ თავებს თვითონ ხომ არ მოიჭრიან. ეს პირდაპირი გაგებით, თორემ გადატანითი მნიშვნელობით რასაც თავის მოჭრა ჰქვია, მოჭრილიც აქვთ და ნაცარიც წაყრილი.

ისე, სუში უფრო გემრიელია თუ ჰალსტუხი? ან თქვენ ის პიპინია არა ხართ, ბატონო პრეზიდენტო, საკუთარ ცხენს რომ გამოასწარით, ანუ გორში საკუთარ დაცვას რომ გაასწარით? ეგ არის უშიშარი ვარ ვითარცა უხორცოო? თუ მართლა ხალხისკენ გარბოდით, არიქა, თუ ბომბები ჩამოყარეს, ხალხთან ერთად უნდა დავიბრიდოო?

რა ვიცი, ასე კი თქვა პრეზიდენტის ერთმა თავგამოდებულმა დამცველმა, დოდონა კიზირიას პროტეჟე „პოლიტოლოგმა“ გოგი გაჩეჩილაძემ. ან კიდევ, რა იყო ის, თუ არა ცირკი, კაჩინსკთან ერთად შუალამისას ახალგორში რომ მივარდით, განმუხურის მსგავსი სპექტაკლი ხომ არა?

ეჰ, უსინდისოების არარსებულ სინდისზე იყოს ეს და კიდევ მრავალი სხვა კითხვაც, რომლებიც თქვენც გიტრიალებთ თავში, მკითხველებო!

მთავარი მაინც წინ ყოფილა: ჩვენ რომ გვიჩიჩინებდნენ — რუსებს ნილაბი ჩამოვხსენით, საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია, ახლა ისე ახლოს ვართ ტერიტორიების დაბრუნებასთან, როგორც არასდროსო, თურმე არაფერი ყოფილა იმასთან შედარებით, დიმა ლორთქიფანიძემ რომ დააბრეხვა...

თურმე ქართველების უბედურების მიზეზთა მიზეზი ის ყოფილა, რომ მტრის ხატი არ გვქონია და ახლა, აგვისტოს „ძლევამოსილი“ ომის შემდეგ, ესეც გვიშოვია... რუსების სახით!!! და იქვე იკივლა, — მზად ვარ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოო და იგივე მოითხოვა სტუდიაში დამსწრე ახალგაზრდებისგან.

არ დაუჯეროთ, შვილებო, ცრუ დიმიტრებს! ქართველებს მტერი მუდამ აურაცხელი გვყოლია, მაგრამ არც ერთი ხალხი, თვით სპარსელ-ოსმალონი, არაბები მტრის ხატად არ დაგვისვენებია. არც ის მოუწოდებიათ ქართველ მეფეებს, დიდიან-პატარიანად შეაკვდით მომხდურსო.

„საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგან“, უთქვამს დიდ შოთას. და სწორედ ამ მამაცთა, დიახ მამაცთა სიბრძნემ გადაგვარჩინა.

ისიც იყო ჩვენს ისტორიაში, როცა მეფე თუ სარდალი (რაც, როგორც წესი, ერთი იყოძ მოუწოდებდა ერს, სიკვდილი ან გამარჯვებაო! მაგრამ ამ მოწოდებას ის „ბედავდა“, ვინც, ერეკლესავით პირველი ეკვეთებოდა მტერს. და არა ისე, როგორც ესენი — ჯარისკაცები უპატრონოდ რომ მიატოვეს, და ახლა იმ ჯარისკაცებსვე რომ აპატიმრებენ, ესენი, რომელთა მანქანებითაც წითელი ხიდის საზღვარი გაიჭედა მაშინ...

„თათარიც ჩემი ძმა არისო, რომ ამბობდა ქართველი, ეს იმას ნიშნავს, რომ მას იმთავითვე ხატად, რწმენად სიყვარული ესვენა გულში და არა სხვა ერების სიძულვილი, დიდი ჭაბუასი არ იყოს, ქართველი მტერს იმიტომ კი არ ჰკლავდა, რომ ის სძულდა, არამედ იმიტომ, რომ მან შეუგინა, შეურაცხყო ის, რაც მას უყვარდა. რუსების აგრესია სად იყო, როცა ჩვენმა მანქურთმა ხელისუფლებამ დაგვინგრია ეკლესიები, შეგვიგინა ყველაფერი ქართული, ტრადიციული, მასხრად აგვიგდო ჩვენი ისტორია, სულში ჩაგვაფურთხა 2007 წლის 7 ნოემბერს.

ვიცი, ამ წერილის შემდეგ მავანთაგან უკვე მერამდენედ დავიმსახურებ კრემლის აგენტის იარლიყს, მაგრამ უსამშობლო „თავისუფლების ინსტიტუტის“ მანქურთებისგან სამშობლოს ღალატის ბრალდებას ვერ მივიღებ. რუსეთი, ავია თუ კარგია, ჩვენი მეზობელი ქრისტიანი ქვეყანაა და მასთან, ადრე თუ გვიან, მოგვიწევს ნორმალური ურთიერთობის აღდგენა. ამას კი ვერაფრით შევძლებთ, თუ რუსი ხალხი მტრის ხატად შევრაცხეთ და უცილოდ დავიღუპებით.

ილია ჭავჭავაძეზე მეტად, რომლის სურათიც ვითომ ხატად უსვენიათ ამ ფარისევლებს, ვინ უწყოდა რუსების ავ-კარგი? ჰოდა, იქნებ ამ საომრად შემართულ დიმიტრი ლორთქიფანიძეს თვალი გადაევლო მისი პუბლიკაციებისთვის, სანამ ჩვენს შვილებს რუსებისთვის თავის შეკვლისკენ მოუწოდებდა?

ეგეც არ იყოს, დავით ბაქრაძემ ყველაფრით, თუნდაც დანა-ჩანგლებით ომისა და ქვეყნის დაცვისკენ რომ მოგვიწოდა, იქნებ ერთი, თუნდაც შორეული ნათესავი მაინც დაგვისახელოს, ვინც დაიღუპა კი არა, ვისაც თითი მაინც გაეკაწრა აგვისტოს ომში? იქნებ იგივე გააკეთონ სხვა მაღალჩინოსნებმაც, სხვისი შვილების ათობით „უცნობი“ საფლავით რომ გაავსეს მუხათგვერდი, ცოცხლად გადარჩენილებით კი — ციხეები?

**დავით მხეიძე.**

**ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!**

ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

პროფ. ცაგარელის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები მკაფიოდ აშუქებენ საქართველოს ამ უცნაურ, მაგრამ ტრაგიკულ მდგომარეობას, როცა ერთ მხარეს დგას სიუზერენი, ნამდვილ დახმარებას რომ არ უწევს, და მეორე მხარეს – გაავებული მტრების ხროვა, რომელთან გარიგებასაც მეფეს არ ანებებს იგივე სიუზერენის მიმართ ერთგულების მოვალეობაძ. მაგრამ მისი შემოსევის საფრთხე კიდევ დიდხანს ემუქრებოდა საქართველოს; კავკასიის ხაზზეც ილებდნენ ქმედით ზომებს იმისათვის, რომ თუ ვინიცობაა, სპარსეთი შემოიჭრებოდა, შემოეყვანათ საქართველოში მის დასაცავად საკმარისი რაოდენობის ჯარები.

თბილისში რუსეთის რეზიდენტის ჩამოსვლამ საბოლოოდ აუხილა თვალი სპარსეთს საქართველოს ბედზე. იმპერატორმა პავლემ გაიწვია თავისი ჯარები ამიერკავკასიიდან; ეტყობა, მშვიდობისმოყვარულად მოქმედებდა, მაგრამ ასეთ მშვიდობისმოყვარულობას ვერ იგუებდა რეზიდენტის თბილისს გამოგზავნა. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის სპარსული შეფასება დიდი თვალსაჩინოებით არის გამოხატული ფათალი-შაჰის ვეზირის, ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანის, იმდროინდელი სპარსეთის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის წერილში რეზიდენტისადმი. „ეს საქმე (ე. ი. რეზიდენტის ჩამოსვლაძ, წერს იგი, საწადელს ალემატება, ვინაიდან, როგორც მზის შუქი ილვრება დედამიწაზე, ასევე თანაბარ-ზომიერად მოეხსენება ყველას ის ჭეშმარიტება, რომ დასაბამითგან, მას უკან, რაც მთელი ქვეყნიერება ოთხ ნაწილად გაიყო, ქართლი, კახეთი და თბილისი ირანის სახელმწიფოში შემოდიოდნენ“... მცხოვრებთ, შაჰის ბრძანებით, ევალებოდათ მორჩილება და სამსახური, ხოლო რუსეთის ძალაუფლების ქვეშ არასდროს არ ყოფილან, „გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერეკლე მეფემ, მთავარმა მთავართა ზედა, ნეტარხსენებული თვითმპყრობელი ხელმწიფის ალა-მაჰმად-ხანის თანამედროვემ, მოინდომა, მოეშორებინა თავისი სამარადჟამო მფლობელების ძალაუფლება, და გამოვიდა სპარსეთის სამტრო ასპარეზზე“. მაგრამ ამისათვის საკადრისი მიეზღა. ახლა ჩვენ გველაპარაკებიან რუსი მონარქის მშვიდობისმოყვარეობაზე. რატომ მოისურვა მან „გაანადგუროს უფლებები და უპირატესობები, რომელთაც საუკუნეების ბეჭედი აზის?“ რა ძალა შეიძლება ექნეს ერეკლე მეფის ვალდებულებებს? სპარსელი დიპლომატი ასე განმარტავს თავის აზრს: „მაგალითად, რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში შემავალ ხალხთაგან ერთ-ერთს თვითნებურად რომ გადაეწყვიტა სპარსეთის მფლობელობაში გადმოსვლა, დაედო მასთან ტრაქტატი და სხვა პირობები, განა ასეთი გარიგება ძალმოსილი იქნებოდაო?“ მართალია, ერეკლე მეფის დროს სპარსეთში არ ყოფილა უმაღლესი მბრძანებელი, მაგრამ, იმ დროშიც, ასე ვთქვათ, „ორიოდ დღეში“ საქართველო სპარსეთს ჩამოსცილდებოდა. ახლა, მადლობა ღმერთს, შაჰის ტახტის წინაშე ქედს იდრეკს ყველა ყაენი, და „არავის მოსდის აზრად, ათასობით წლის შემდეგ კუთვნილი სამფლობელო სხვას გადაულოცოს“. დასასრულ, ირანის კანცლერი რეზიდენტს სთავაზობს, პატივი სცენ ერთმანეთის უფლებებსა და საზღვრებს, „არ გაწყვიტონ სიმშვიდისა და მეგობრობის ჯაჭვი, რათა თბილისის ოლქი აღარ გადაქცელონ ჩვენმა ბედაურებმა და მარჯვე მეომრებმა...“ თუმცა, უმჯობესია, „ორმხრივი მეგობრობის კარი მუდამ ღია იყოს“ (თარგმანი წერილისა, სპარსეთში გაბატონებული ბაბა-ხანის ვეზირმა, ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანმა რომ გაუგზავნა პ.ი. კოვალენსკის, მინისტრს „სრულიად რუსეთის ყოვლადმოწყალე, დიდი კეისრისა“. Акты, ტ.I, გვ.96-97ძ.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ვახტანგმა უარი თქვა სპარსეთის ქვეშევრდომობაზე, მერე საქართველოში ათ წელიწადზე მეტ ხანს ბატონობდნენ ოსმალები, სანამ მათ იქიდან ნადირ–შაჰი განდევნიდა.

ნადირის სიკვდილის შემდეგ არ ყოფილა სპარსეთში რამდენადმე აღიარებული არც ერთი ისეთი მბრძანებელი, რომ შეიძლებოდეს ლაპარაკი მის ხელმწიფებაზე საქართველოში (ტექსტში გადმოცემული სპარსეთის თვალსაზრისი, ოღონდ, ირანული გამოთქმების კოლორიტულობით შეუფერადებელი, გამოსჭვივის ბ-ნ ეზოვთანაც, რომლის რედაქტორობითაც გამოიცა მასალები სათაურით „პეტრე დიდის ურთიერთობა სომეხ ხალხთან“. იხ. ეზოვის თავშესაქცევი მსჯელობა 1783 წ. ტრაქტატის შესახებ (გვ.XCII და XCIIIძ.

თუ როგორ ალზევდა და გაძლიერდა ერეკლე, ისარგებლა რა სპარსეთში მიმდინარე შფოთიანობით, – ამაზე ჩვენ უკვე საკმაოდ ვილაპარაკეთ: ეს ზოგადი ადგილია ყველა თხზულებაში, იმდროინდელი სპარსეთის ისტორიას რომ ეძღვნება. უკანასკნელი ერგასი წელიწადია, საქართველომ არ იცის, რა არის სპარსეთზე დამოკიდებულება. დებდა რა ტრაქტატს რუსეთთან, ერეკლე დგამდა სპარსეთის მიმართ **პოლიტიკურად** რისკიან ნაბიჯს (როგორც ეს ზემოთ არის განმარტებულიძ, მაგრამ საქართველოზე სპარსეთის არავითარი უფლება არ დაურღვევია, ვინაიდან ეს უფლება დიდი ხნის აორთქლებული იყო, და, კაცმა რომ თქვას, როცა ნამდვილად იყო, ქართველთა ქრისტიანული მართლშეგნება არც მაშინ ურიგდებოდა. დავა შეიძლებოდა, ძალას გადაეწყვიტა – მაგრამ, ერეკლესთან ბრძოლაში. ალა-მაჰმად-ხანმა **წააგო** ეს ბრძოლა, გარეგნული გამარჯვების მიუხედავად: სინამდვილეში, მან ვერ მიაღწია იმას, რომ ერეკლეს ეცნო მისი უფლებები, და, რაკი საქართველოში ვერ იკიდებდა ფეხს, მსწრაფლ გაბრუნდა უკან.

ფათალი-შაჰმა განაახლა თავისი პრეტენზიები, და ჩვენ, ვნახეთ, როგორ ჩამოაყალიბა სპარსეთის კანცლერმა ისინი. იგი იძულებული შეიქნა, დავა გაეგრძელებინა უკვე რუსულ იარაღთან, და გულისტანის ზავმა, 15 წლის შემდეგ, საკითხი კვლავ არა მის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მაგრამ ზემომოყვანილი ნოტა მოწმობს, რა გაბოროტებით ეწინაალმდეგებოდა სპარსეთი რუსეთის ამიერკავკასიაში დამკვიდრებას, რა ჯიუტად იცავდა აშკარად უსაფუძვლო აზრს საქართველოზე თავისი „უფლების“ შესახებ.

თუმცა, ქართველთა შორისაც გამოიძებნა ისეთ პირთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომლებიც მზად იყვნენ, ეცნოთ ბაბა-ხანის უფლებები, ვინაიდან შესაძლებლად მიიჩნევდნენ, სპარსეთის შემწეობით შეენარჩუნებინათ საქართველოსთვის გარკვეული დამოუკიდებლობა. ამ მიმდინარეობის მთავარი გამომხატველი ბატონიშვილი ალექსანდრე, ერეკლეს ვაჟი, დაუფარავად გადავიდა სპარსეთის მხარეს, და მისი იარაღი იყო რუსეთთან ომებში; იგი უცხო მიწაზე გარდაიცვალა და არასდროს არ შერიგებია საქართველოს დამოუკიდებლობის განადგურებას. ხოლო საუკუნეობრივი ტრადიციის – რუსეთთან დაახლოების ერთგულ უმრავლესობას ეწერა, საბოლოოდ და სამუდამოდ განთავისუფლებულიყო სპარსეთის ყოველგვარი გავლენისაგან, წინათ ესოდენ მრავალმხრივი რომ იყო და საუკუნეობით გრძელდებოდა. ასე დაიწყო ქართველთა ცხოვრების პირობების ძირფესვიანი შეცვლა.

## თავი მეთერთმეტე
## საქართველოს შეერთება იმპერიასთან

### I.

სულ უფრო ახლოვდება საქართველოს შემოერთების დღე. 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტი ამ ამბავს ყველას და თითოეულს ამცნობს; და საქართველო რუსეთის ნაწილად გადაიქცევა.




ჩვენ გიჩვენეთ, როგორ დგება გიორგი მეფე – 1799 წელს ინვესტიტურის მიღებისა და ფიცის დადების შემდეგ – ისეთივე დამოკიდებულებაში იმპერიის მიმართ, როგორშიც ერეკლე იყო, ანუ საქართველოს „მთელი ქვეყნიერების წინაშე“ ეძლევა მთლიანობისა და ხელშეუხებლობის გარანტია. აგრეთვე ეროვნულ დინასტიას უზრუნველყოფილი აქვს ტახტი, სამსახურისა და ერთგულების პირობით.

ჩვენ უნდა განვიხილოთ, როგორ ხდებოდა ეს გადასვლა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, რომელიც საქართველოს და რუსეთს ჰქონდათ ჯერ კიდევ 1799 წ. და 1800 წ., მდგომარეობაზე, რომელიც 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტმა შექმნა, ე.ი. საქართველოს სამეფოს სამარადისო შეერთებაზე იმპერიასთან მისი ხელმწიფობის ქვეშ.

### 1.

იმისათვის, რომ იურიდიულად შევაფასოთ რუსეთთან საქართველოს შეერთება, აგრეთვე განვსაჯოთ საიმპერატორო მანიფესტებში და, შემდეგ საყოველთაოდ დასწავლილი შეხედულება – საქართველოს კეთილნებობით შემოერთების თაობაზედ, უნდა მოვძებნოთ და ცალ-ცალკე განვიხილოთ იმ ჯაჭვის რგოლები, რომელიც იწყება 1799-1800 წლების **სახელშეკრულებო ურთიერთობით** (იმ დროს განახლებული 1783 წ. ტრაქტატის ძალით– და მთავრდება საქართველოს **ინკორპორაციით,** ე.ი. მასზე რუსეთის ტერიტორიული უზენაესობის, მისი ძალაუფლების განვრცობით გამოვლინების მთელი სისრულით და მისი კომპეტენციის მთელი უკიდეგანობით.



პირველი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლა **შეიძლებოდა ყოფილიყო** იურიდიულად უზადო, კორექტული; მაშინ ჩვენ გვექნებოდა, ნამდვილად უწყვეტი ჯაჭვი იურიდიული ურთიერთობებისა, რომელთაგან ყოველი მომდევნო ჩაინაცვლებს თავის მართლზომიერებას წინასაგან, მით იკურთხება, და, თავის მხრივ, ანიჭებს იურიდიულ საფუძველს ახალ ურთიერთობას. და, მაშინაც კი, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ რომ მივსულიყავით საწყისისაგან სრულიად განსხვავებულ მდგომარეობამდე, არ დარჩებოდა ადგილი იურიდიული კრიტიკისათვის: ყველაფერი იქნებოდა როგორც წესი და რიგია, სამართლის თვალსაზრისით უხინჯო.

იმისათვის, რომ – იურიდიული თვალსაზრისით – შევძლოთ, ვილაპარაკოთ რუსეთთან საქართველოს კეთილნებობითს შეერთებაზე, აუცილებელია, ინკორპორაციის აქტს წინ უძღოდეს დაინტერესებული მხარეების ორმხრივული თანახმიერი ნების გაცხადება.

### 2.

ინკორპორაცია არის აქტი, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოს ძალაუფლება ვრცელდება მასთან ამა თუ იმ გზით შემოერთებულ ოლქზე. ინკორპორაციას შეიძლება წინ უძღოდეს სხვადასხვა მოვლენები და მართლურთიერთობანი, რომლებიც ქმნიან სახელმწიფოს ძალაუფლებას შემოსაერთებელ ტერიტორიაზე. ერთის შემთხვევაში ეს შეიძლება, იყოს დაპყრობა, მეორეში – კეთილნებობითი დათმობა, მესამეში – ყიდვა-გაყიდვა და ა.შ.

მაგრამ როდესაც საქმე ეხება კეთილნებობითს შეერთებას, ინკორპორაციის ეს (ყოველთვის ცალმხრივიძ აქტი უნდა მოჰყვეს მეორე აქტს (ან აქტებსძ, რომელშიც გამოვლინდებოდა **შეთანხმება** ერთი მხარისაგან დამოუკიდებლობის დაკარგვისა და მეორე მხარისაგან – ქვეშევრდომად მიღების შესახებ.

ერთი სიტყვით, სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა და ინკორპორაცია ნამდვილად არის შესაძლებელი ნებაყოფლობის გზით, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ფორმალურად გამოხატული ნებათა თანხმობა. და არა მარტო დამოუკიდებლობის დაკარგვა, არამედ, ზოგადად, ყოველგვარი ცვლილება, უფრო მჭიდროდ რომ ჰკრავს ორ სახელმწიფოს ერთ მთელად, უნდა ხდებოდეს ორმხრივი შეთანხმების გზით.

ირლანდიის პარლამენტი იყო უბადრუკი ხატი წარმომადგენლობითი დაწესებულებებისა, მაგრამ იურიდიულად – გვევლინებოდა ირლანდიის ორგანოდ, და მისი საბოლოო გაერთიანება ინგლისთან, იმ ბნელი პოლიტიკური საშუალებების მიუხედავად, ამ მიზნით რომ გამოიყენა ბრიტანეთის მთავრობამ, იურიდიული თვალსაზრისით უზადოა. სახელდობრ, ორ-მხრივულად დადგინდა, რომ „1801 წლის 1-ლი იანვრიდან დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფონი ერთიანდებიან ერთ სამეფოდ, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის შეერთებული სამეფოს სახელწოდებით“; დადგინდა აგრეთვე ტახტის მემკვიდრეობის ერთიანობისა (როგორც იქამდეც იყოძ და საპარლამენტო წარმომადგენლობის ერთიანობის თაობაზე: ირლანდიას პარლამენტში თავისი წილი ერგო. მან თავისი პრივილეგიები **კეთილნებობით** დაჰკარგა.

მაგრამ ირლანდია არ ყოფილა დამოუკიდებელი სახელმწიფო; ავიღოთ მაგალითები, უფრო მეტად რომ ჰგავს ჩვენს შემთხვევას. 1798 წელს, საქართველოს შემოერთებამდე ორი წლით ადრე, ნებაყოფლობით შევიდნენ საფრანგეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში – თავისუფალი ქალაქი მიულჰაუზენი (ამჟამად ელზასშიაძ და ჟენევის რესპუბლიკა. ინკორპორაციას, მოცემულ შემთხვევაში, წინ უძღოდა ხელშეკრულებანი გაერთიანების შესახებ.

### 3.

ვიმეორებთ: თუ ილვწიან სრული შეერთების, შერწყმისათვის, მაშინ ყოველ შემთხვევაში, საჭიროა, ინკორპორაციას წინ უძღოდეს აქტი მონარქის მიერ თავის უფლებებზე უარის თქმისა (თუ საქმე ეხება მონარქიასძ და, საერთოდ, უნდა გამოითქვას წინასწარი თანხმობა ინკორპორაციაზე იმათი მხრიდან, ვისაც აქვს უფლება და ვალდებულია გამოხატავდეს სახელმწიფოს ნებას.

საქართველოს შემოერთებამდე 5 წლით ადრე, რუსეთის შემადგენლობაში შემოვიდა კურლანდია. იქამდე მას სამებატონო კავშირი ჰქონდა პოლონეთის სამეფოსთან. რეჩ პოსპოლიტას დამოუკიდებლობის ლიკვიდაციასთან ერთად, ეს კავშირი, ბუნებრივია, წყდებოდა, და კურლანდია დაუბრუნდა პირველყოფილ მდგომარეობას, ე.ი. შეეძლო, თავისი ნებით აერჩია ახალი სიუზერენი, ან სხვაგვარად განეკარგა თავისი ბედი. კურლანდია გადმოვიდა იმპერიის სრულ, უცილობელ მორჩილებაში, შემოვიდა უშუალოდ მისი სამფლობელოების შემადგენლობაში, იმისათვის, რომ ჯეროვნად გაფორმებულიყო ეს შემოერთება, საჭირო იყო მთელი რიგი იურიდიული აქტები, რომლებიც უკლებლივ ყველა, შედგა.

იმისათვის, რომ განეხორციელებინათ კურლანდიის „უცილობელი ქვემდებარება“ (unbedingte Subjectionძ რუსეთის სკიპტრისადმი, მოწვეულ იქნა საგანგებო სეიმი. 1795 წლის 18 მარტის მანიფესტით სეიმი „საჯაროდ და სამუდამოდ განუდგა პოლონეთის უზენაეს სამებატონო მმართველობას.“ შემდეგ, ამავე რიცხვის მეორე **მანიფესტით,** დეპუტატებმა „სასიკეთოდ და სასარგებლოდ ცნეს“ საერთოდ გაეუქმებინათ „აქამდე არსებული სამთავროს მართვა-გამგეობა, რათა ამიერიდან იგი უშუალოდ და პირდაპირ შეუერთდეს რუსეთის იმპერიას“.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

იბეჭდება შემოკლებით

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 203-219.

◉ არის ასეთი აზრიც




# „მდიდრებიც იხდიან“...

## საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისთვისაც დადგა ანგარიშების გასწორების დრო...

**მოსაზრებებს გვიზიარებს პოლიტოლოგი არნო ხიდირბეგიშვილი**

**— თქვენი პროგნოზები უკვე ხდება: ექსპრეზიდენტ გორბაჩოვის სიტყვით (ტელეეთერის დროს), რუსეთმა უკვე „მიანიშნა“, რისი იმედიც საქართველოს შეიძლება ჰქონდეს ახალი ხელისუფლების დროს — ესაა კონფედერაციული მოწყობა, სადაც კონფედერაციის უფლებებით შევა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რომლებიც დღეისათვის, რუსეთისა და ნიკარაგუას გარდა არავის ულიარებია...**

— რუსეთისთვის კი არაა ხელსაყრელი, რომ კიდევ ვინმემ აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა — განა შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ მათი დამოუკიდებლობის „აღიარების ტალღით“ „აღფრთოვანებულებს“ გაუჩნდეთ მოსკოვისთვის „ზედმეტი ამბიციები“ და დაიწყონ უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკა ან/და მოიძიონ თავიანთთვის სხვა, რუსეთისათვის ალტერნატიული „ტანდემი“ რომელიმე ქვეყანასთან ან ბლოკთან.

რაც შეეხება ჩემს პროგნოზებს — ისინი კვლავაც ახდებიან: ობამას არჩევა და მისი პირველი მიზნები — შეაჩეროს ომები ერაყსა და ავღანეთში, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განთავსების შეჩერება და კლინტონის (პრეზიდენტის, რომელმაც თავის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში არ დატოვა ერთი ცენტი ვალიც კი!) ადმინისტრაციის ყოფილი მაღალჩინოსნებით დააკომპლექტოს ეკონომიკური ბლოკი — კიდევ უფრო დააჩქარებენ მოვლენებს. „მდიდრებიც იხდიან“ — საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისთვის ანგარიშების გადახდის დროც დადგა და ჩემი ექვსი სცენარიდან, რის მიხედვითაც რუსეთი საბოლოოდ მოვა საქართველოში, შეიძლება, ყველა ერთად აღსრულდეს: ეს იქნება სცენარის მეშვიდე — „კრებსითი“ ვარიანტი, რომელმაც ყველა ექვსივესაგან „ისესხა“ განმასხვავებელი თავისებურებანი.

**— სხვათა შორის, ობამას შესახებ: როგორ აფასებთ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ არჩევნებს და ამერიკელი ხალხის არჩევანს? საქართველოში ხომ, როგორც ამბობენ, უფრო გულშემატკივრობდნენ მაკქეინს, რომელიც ჩვენ გვიწევდა დიდ მხარდაჭერას და თავიც კი გამოაცხადა ქართველად 8-12 აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების დროს?**

— ამერიკელი ხალხი ბრძენია ისევე, როგორც ყველა სხვა ხალხი — მან უარყო „ძველი ქორი“ მაკქეინი და უპირატესობა მიანიჭა გაწონასწორებულ 47 წლის ობამას! რუსეთმაც, სხვათა შორის, 2000 წელს ვადამდე გადააყენა მოზერებული ელცინი და არჩევანი გააკეთა 48 წლის პუტინზე, შემდეგ — 43 წლის მედვედევზე. აზერბაიჯანს დღეს ხელმძღვანელობს 47 წლის ილჰამ ალიევი, უკვე არაფერს ვამბობ სომხეთის 56 წლის პრეზიდენტზე სერჟ სარგსიანზე. მთელ მსოფლიოში დღეს ხელისუფლებაში მოდიან პოლიტიკოსებისთვის ყველაზე ოპტიმალურ ასაკში, საქართველოს გარდა, სადაც 2003 წელს ხელისუფლებაში მოვიდა 36 წლის სააკაშვილი, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა თინეიჯერები! ამრიგად, ხელისუფლება საქართველოში ხანდაზმული შევარდნაძიდან გადაახტა საფეხურს და უმალვე აღმოჩნდა 20-დან 30 წლამდე ახალგაზრდების ხელში, ნახტომები კი ევოლუციაში, როგორც ჩემი კოლეგა ტატო ლასხიშვილი ამბობს, იძლევიან რევოლუციას! ამიტომ მოხდა საქართველოში 2003 წლის ნოემბერში „ვარდების რევოლუცია“, ამიტომაა, რომ დღეს, 5 წლის შემდეგ — კვლავ ახალი რევოლუციის ზღურბლზე ვართ, მაგრამ ამჟამად „ვარდებისგან“ დარჩა მხოლოდ „ეკლები და ცრემლები“: სახელმწიფოში საყოველთაო კეთილდღეობის ნაცვლად — ნგრევა და უმუშევრობაა, დაპირებული მთლიანობის ნაცვლად, საქართველომ დაკარგა თავისი ტერიტორიები და მოქალაქეები — აფხაზები და ოსები... ამრიგად, „ორმო მშენებარე სახლის საძირკვლისთვის“ აღმოჩნდა ძმათა სასაფლაო ასობით ქართველი ახალგაზრდისთვის, რომლებიც დაიღუპნენ პოლიტიკური სიბეცის, მუდმივი სამხედრო ავანტიურების შედეგად, რითაც საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ შოკში ჩააგდო ბუშის ადმინისტრაციაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ევროპაზე...

**— მიგაჩნიათ, რომ ხელისუფლების შეცვლა საქართველოში მაინც რევოლუციური გზით მოხდება?**

— აუცილებლად ასე მოხდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად მაკქეინის არჩევის შემთხვევაში, რომელიც დაიწყებდა ახალ ომს ირანთან და აიძულებდა რუსეთს აშკარად შემოსულიყო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გადაფარებოდა საპასუხო სარაკეტო დარტყმისგან დასავლეთს, რომ თავისი ჩრდილოეთი სამხედრო ობიექტები და რუსეთი სამხრეთ კავკასიაში ... [continues:] ცავად მასაც და მთელ დანარჩენ კავკასიას, დამატებით თურქეთსაც. ნუ დაგავიწყდებათ, რომ რუსეთს ამჟამად მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში აქვს 8 უკვე არსებული და მშენებარე სამხედრო ბაზა: 5 ბაზა საქართველოში — (ცხინვალში, ჯავაში, გუდაუთაში, ოჩამჩირესა და გალში); 2 ბაზა — სომხეთში (გიუმრი, იჯევანი); 1 ბაზა — აზერბაიჯანში (გაბალინი, რადიოლოკაციური სადგური). ახლა კი ხელისუფლების შეცვლა საქართველოში, ვფიქრობ, მოხდება კონსტიტუციური გზით — რიგგარეშე პარლამენტის, შეიძლება — პრეზიდენტის არჩევნების გზით, რის დანიშვნასაც მომავალი წლის გაზაფხულისათვის სააკაშვილს აიძულებენ ოპოზიცია და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია, რომელიც იმ დროისთვის უკვე საბოლოოდ „აითვისებს თეთრ სახლს“, გაერკვევა ეკონომიკურ კრიზისში და მოაწესრიგებს ურთიერთობას კრემლთან.

თუმცა, დღევანდელი ხელისუფლება თავგანწირვით შეებრძოლება ამ ამბავს და ამისთვის წავა სიტუაციის უკიდურეს გამწვავებაზე? — კონფლიქტურ ზონებში რეპრესიებზე, კიდევ იმიტომ, რომ პოლიტიკა საქართველოში რჩება ყველაზე საუკეთესო ბიზნესად: საქართველოში მოქმედ ხელისუფლებას დღეს აქვს მიზანი, თუ რისთვის იბრძოლოს და დარჩეს ხელისუფლების სათავეში კიდევ 4 წელიწადი — დიახ, ესაა 4,5 მილიარდი დოლარი, რასაც საქართველო მიიღებს ამ წლების განმავლობაში... საერთოდ კი, ეს ყველაფერი გადაწყდება არა თბილისში, არამედ მოსკოვსა და ვაშინგტონში.

**— ვინ მოვა ხელისუფლების სათავეში თბილისში ამ არჩევნების შედეგად?**

— ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ჩვენ, ქართველებს, პოლიტიკოსების არჩევის დროს „ცუდი გემოვნება“ გვაქვს: ვინც უნდა მოვიდეს, მთავარია, რომ არ განმეორდეს 2004 წლის სინდრომი, როდესაც ხალხმა „ჯიბრზე“ აირჩია სააკაშვილი და მისი „ეროვნული მოძრაობა“ — ოღონდ არ აერჩია შევარდნაძე და მისი გარემოცვა, რომელიც, „თეთრი მელიის“ ხანდაზმულობისა და გაუთვითცნობიერებლობის გამოყენებით, კორუფციაში ჩაეფლო. მაგრამ დღევანდელმა ხელისუფლებამ ყველას „გადაუჯოკრა“.

იხ. 8 გვ.

◉ სამართალი

# „კანონიერი ქურდი“ თუ პოლიტპატიმარი?

## არ არის გამორიცხული, ყველანი ხანგრძლივი ვადით ციხეში გაგვიშვან

**რუსეთმა საქართველოში საკუთარი მოქალაქის დეპორტირება მოახდინა, რომელსაც სასამართლომ 10-წლიანი განაჩენი თურმე ჭორებზე დაყრდნობით გამოუტანა.**

ადვოკატებმა ლია მუხაშავრიამ და არჩილ ჩოფიკაშვილმა, საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე, ჟურნალისტებს მსჯავრდებულ გიორგი გოგოლაძის სააპელაციო საჩივრის შესახებ ამცნეს.

საქმე ის გახლავთ, რომ თელავის რაიონულმა სასამართლომ 2006 წლის 3 ნოემბერს გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც გიორგი გოგოლაძეს კანონიერი ქურდობისთვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლო ამჟამად მოწმეთა დაკითხვის სტადიაზეა. ბრალდებული უარყოფს მის მიმართ წარდგენილ ბრალდებას და მიიჩნევს, რომ მისი მსჯავრდება უსაფუძვლოდ, კანონის მოთხოვნების დაუცველად მოხდა.



„სასამართლო განაჩენი ეყრდნობა „მტკიცებულებებს“ და მოწმეებს, რომლებმაც თურმე ჭორად გაიგეს, რომ გიორგი გოგოლაძე კანონიერი ქურდია, ანუ უშუალო მოწმე, რომელიც ამას დაადასტურებს, არ არსებობს, შესაბამისად, არც მტკიცებულებაა. სასამართლომ მიიღო განაჩენი და ამ პიროვნებამ ძებნილის სტატუსი შეიძინა. ამის შემდეგ იგი 2007 წელს რუსეთის ფედერაციაში დააკავეს“, — განაცხადა არჩილ ჩოფიკაშვილმა.

ადვოკატები ფიქრობენ, რომ გიორგი გოგოლაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა ყოველგვარ ლოგიკურ და კანონიერ საფუძველს მოკლებულია. კერძოდ, გიორგი გოგოლაძის ბრალდება მოხდა მაშინ, როდესაც იგი საერთოდ არ ცხოვრობდა საქართველოში. რუსეთის ფედერაციის მოქალაქე იყო და საქართველოსთან არათუ კრიმინალური, არამედ ფიზიკური კავშირიც კი არ ჰქონდა.

ამის მიუხედავად, თელავის რაიონული სასამართლოსთვის სარწმუნო გახდა მოწმეების ჩვენებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ მათ ჭორად გაიგეს, თითქოს 1999 წელს გიორგი გოგოლაძემ საქმე გაარჩია და იყო ე. წ. კანონიერი ქურდი.

„კანონიერი ქურდობა“ საქართველოში დასჯად ქმედებად 2006 წლის მაისიდან გამოცხადდა, თუმცა, თელავის რაიონული სასამართლოსთვის 7 წლის წინანდელ ჭორებზე დაფუძნებული ჩვენებები საკმარისი საფუძველი გახდა 10-წლიანი პატიმრობის შესაფარდებლად.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საშუალება მიეცა, გიორგი გოგოლაძე ძებნილად გამოეცხადებინა, რის გამოც გიორგი გოგოლაძე რუსეთის ფედერაციაში დააკავეს. ვინაიდან იგი რუსეთის ფედერაციის მოქალაქე იყო, ექსტრადირება ოფიციალურად ვერ განხორციელდა. ფორმალურად ის გათავისუფლდა საექსტრადიციო პატიმრობიდან, თუმცა ციხის გამოსასვლელშივე მას დახვდნენ რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავები, რომლებმაც იგი დააკავეს, ჩამოართვეს პასპორტი, სხვა დოკუმენტები და მოსკოვში უსაბუთოდ და არალეგალურად ყოფნის საფუძვლით ჯერ იგი დააკავეს, შემდეგ კი, მოგვიანებით მოახდინეს მისი დეპორტირება საქართველოში. რეალურად კი გიორგი გოგოლაძე გადმოსცეს ქართველ სამართალდამცავებს თბილისის აეროპორტში.

ადვოკატები ეჭვობენ, რომ გიორგი გოგოლაძის პატიმრობაში ყოფნა შედის საქართველოს შსს მაღალჩინოსნების ინტერესებში. თურმე კახეთში, პრეზიდენტთან დაახლოებული ვიღაც საქუაშვილისა და მისი პირადი ინტერესები ერთმანეთს დაეჯახა. ამას დაემატა ისიც, რომ შსს მინისტრს მოსწონებია გოგოლაძის ყოფილი მეუღლის სახლი, სადაც დღეს საპატრულო პოლიციაა განთავსებული. სახლი დაკავებამდე წაურთმევიათ მისი პატრონისთვის. ასე რომ, ცხადია, ვის ინტერესებში შედის გოგოლაძის დაკავება.

ლია მუხაშავრიას თქმით, ამ ქვეყანაში არავინ ვართ დაზღვეული, როგორც „კანონიერი ქურდი“, ყველანი ხანგრძლივი ვადით ციხეში გაგვიშვან.

ადვოკატის აზრით, პოლიტიკამ მოიტანა, რომ ხელისუფლებამ ბრძოლა დამნაშავეობას გამოუცხადა და შექმნა საგანგებო მუხლი კანონიერი ქურდობის შესახებ. პარლამენტს ისე მიუღია ეს ცვლილება კოდექსში, არ განუმარტავს, რა არის კანონიერი ქურდობა. „მანამდე საქართველოში ზოგადად გვყავდა დაახლოებით 4 ათასი პატიმარი. ამ პოლიტიკის შედეგად კი 25 ათასი პატიმარი გაგვიჩნდა. 4 ათასზე ზემოთ ვინც არის, ყველა პოლიტპატიმარია. ამას ნებისმიერს დავუსაბუთებ“, — განაცხადა მუხაშავრიამ.

ამ აზრს იგი თამამად აცხადებს, ვინაიდან მის მსჯელობას მხარს უმაგრებს ევროსაბჭოს და ევროსასამართლოს ექსპერტთა მოსაზრებები.

**„თამამად ვამბობ, რომ გიორგი გოგოლაძე, რომელსაც ქართული სასამართლო კანონიერ ქურდად მიიჩნევს, პოლიტიკური პატიმარია“.**

**გოგოლაძის საქმე საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ 2007 წლის ივლისიდან იხილება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში.**

**ადვოკატები ფიქრობენ, რომ თუ ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლო კანონიერ და ობიექტურ გადაწყვეტილებას გამოიტანს, ეს იქნება ტესტი დემოკრატიის ახალი ტალღისთვის.**

თამარ შაიშმელაშვილი.

◉ არქიტექტურა უმაღლეს სკოლაში

*ორიგინალური ხელწერის შემოქმედია ჩვენი გაზეთის ერთგული მეგობარი და ავტორი, ცნობილი მეცნიერი და არქიტექტორი შოთა ბოსტანაშვილი. ორ ათეულ წელზე მეტია ის ხელმძღვანელობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის პოეტიკის" სტუდიას, რომელიც მომავალ არქიტექტორებს პროფესიულ საიხლეებს აცნობს და უნერგავს. ჩვენი მკითხველი ამ სტუდიას აფასებს პერმანენტული მხატვრული აქციებით — გამოფენებით, ორიგინალური შეხვედრებით, სტუდენტური დისპუტებით, სემინარებით...*

*„დღეს მაგრიტის დღეობაა" — ახლახან „არქიტექტურის პოეტიკის" სტუდიამ ამ დევიზით გამართა ცნობილი ბელგიელი მხატვრის რენე მაგრიტის დაბადებიდან 110-ე წლისთავი.*

*და მაინც — რატომ ამდენი მხატვრობა და პოეზია არქიტექტურაში? - ვეკითხებით სტუდიის ხელმძღვანელებს და სტუდენტებს. ერთობ შთამბეჭდავია მათი თვალთახედვა...*



რენე მაგრიტი — თეთრი ბარათი

# მშვენებლობის ბუმია, არქიტექტურა კი უმია...

**შოთა ბოსტანაშვილი:** დიახ, მხატვრობა და დიახ პოეზია. არქიტექტურა არქიტექტურით (მისი პროდუქციითც ვეღარ საზრდოობს, მას კარგა ხანია ეხმარებიან დონორი მეგობრები: მხატვრობა, თეატრი, კინო, პოეზია, ლიტერატურა და საერთოდ მეტაკულტურული რეფლექსიების მთელი კომპლექსი — უმეტეს შემთხვევაში გაუცნობიერებლად (სამწუხაროდც! დიდი იშვიათობაა განათლებისა და ხელობის სიმბიოზი. მაგრიტი სწორედ ასეთი იშვიათობა იყო თავისი სემიოტიკური გატაცებებით და მისი კონცეპტუალიზმი ასეთივე იშვიათი დონორია თანამედროვე კულტურისთვის. დიახ, მაგრიტი ჩვენი ინტერესების საგანი გახდა იმიტომ, რომ არქიტექტურა **გახდა** — წონაში დაიკლო (ავტორიტეტი დაკარგაც და არქიტექტურამ **გახდა** დაიწყო — გაშიშვლდა — გა**შუ**შდა და გაშეშდა. არქიტექტურის განჯადოვებას ისევ მისმა არტისტულმა **მეგობრებმა** უნდა უშველონ. მაგრიტი ხელახალი რეფლექსიის საგანია მათთვის, ვინც მხატვრობაში (და არქიტექტურაშიც) ეძებს არა მხოლოდ **ხედებს**, არამედ **ხედ(ვ)ებს**. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მაგრიტი თანამედროვე კონცეპტუალიზმის მამაა. დღეს მაგრიტის ამინდია — დღეს მაგრიტის დღეობაა.

**დავით ბოსტანაშვილი:** მაგრიტის კონცეპტუალიზმი ფერწერით არ შემოისაზღვრება — ის ზოგადკულტუროლოგიურ პარადიგმებს მოიხმობს. საგნები გვეუბნებიან: რომ მათ უკან სხვა საგნებია; რომ ისინი სხვებს ფარავენ და რომ საგნები სხვა საგნებში გადადიან, ანდა ხატები ცვლიან ნიშნებს;

მაგრიტის სურათების ორმაგი კოდირება, სურათები სურათების შესახებ, მასშტაბებისა და კონტექსტების გადაადგილება, ის პარადიგმებია, რომელთა გარეშე არქიტექტურა ყრუ-მუნჯი და უსიცოცხლოა.

ინტელექტუალთა იმ წრიდან, რომელშიც მაგრიტი ტრიალებდა და ყოველთვის სათანადოდ არ იყო მიღებული — ეს წრე კი გახლავთ სალვადორ დალი, ანდრე ბრეტონი, ლუი არაგონი, პოლ ელუარი — ყველაზე უფრო დღეგრძელი გამოდგა, როგორც კონცეპტუალისტი...

აი, რას ამბობენ სტუდენტები:

**ელენე დარჯანია:** ერთი წლის წინ ბატონმა შოთა ბოსტანაშვილმა რენე მაგრიტი გაგვაცნო. ამ მხატვრის შემოქმედებამ და ჩვენი მასწავლებლის ინტერპრეტაციამ დაგვანახა ახალი, მაგრიტიანული სამყარო და განსხვავებული არქიტექტურის შექმნის იმპულსი მოგვცა.

ჩვენი პატარა სტუდიის მიერ ამ გენიოსის დაბადების 110 წლის აღნიშვნა ყოველი ჩვენთაგანის დღეობის აღნიშვნაც იყო — მაგრიტიანული სულისკვეთებით შეპყრობილებმა რენესეული „ქუდები" დავიფარეთ.

**მარიამ გიგუაშვილი:** მაგრიტის ნახატები საშუალებას მაძლევს სტერეოტიპებს კრიტიკულად შევხედო, დავარღვიო, დავშალო და გადავაწყო საგნები, მოვლენები. მაგრიტის გაცნობის შემდეგ **დასაშვების და საინტერესოს** საზღვრები გაიზარდა.

**ოტია იოსელიანი:** ზოგმა შეიძლება იკითხოს, რატომ მაგრიტი და არა სხვა რომელიმე ცნობილი მხატვარი. ვფიქრობ, დღეს ჩვენ ყველაზე მეტად სწორედ ასეთი ხელოვნება გვჭირდება.

**თამუნა ცანავა:** მაგრიტმა ყველაზე ადრე წამოჭრა ახალი პრობლემური ველის მთავარი ნიშნები: ოპოზიციებს შორის საზღვრების მოშლა და განსხვავებულთა დაახლოება. მისი შემოქმედების გავლენა თანამედროვე ხელოვნების სამეტყველო ენაზე დღითი დღე იზრდება.

მაგრიტის 110 წლის იუბილეს გამოეხმაურა მსოფლიოს უმსხვილესი საძიებო პორტალი google, რომელმაც თავისი ლოგო დაამშვენა მაგრიტისეული მეტაფორებით.

* * *

რენე მაგრიტის შემოქმედებას, სამწუხაროდ, საქართველოში ცოტანი იცნობენ. არადა, როგორც „არქიტექტურის პოეტიკის" სტუდიის აღზრდილები გვიმტკიცებენ, მაგრიტიანული სამყარო სრულქმნილი არქიტექტურის შექმნის იმპულსს ქმნის... რაც არ უნდა დიდი სამშენებლო ბუმი იყოს, არქიტექტურა **უმი, გამხდარი, გაშიშვლებულ-გაშუშებული არ უნდა ჩანდეს...**

სპარტაკ ქობულია.



წინა რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): დავით და შოთა ბოსტანაშვილები; მეორე რიგში სტუდენტები: სალომე მაყაშვილი, თამუნა ცანავა, ელენე დარჯანია, მარიამ გიგუაშვილი, ოტია იოსელიანი.

◉ ინფორმაცია

## „სამხრეთ ოსეთის" მთავრობა ქართველთა ჯაშუშები ყოფილან

**აგვისტოს მოვლენების დროს ცხინვალს ქართული დაზვერვის კომპიუტერის მყარი დისკი ჩაუვარდა ხელში, — ამის შესახებ ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა „რასიისკაია გაზეტას" განუცხადა.**

**მისი თქმით, დისკზე საიდუმლო ინფორმაცია ინახებოდა, კერძოდ, საქართველოს მიერ ჯაშუშების გადაბირების შესახებ.**

**ახლა ვიცით, ვინ მუშაობდა ქართველებზე და ვის რამდენს უხდიდნენ ისინი, — განაცხადა კოკოითიმ.**

**მან აღნიშნა, რომ დისკზე არის ჩანაწერიც, სადაც ვახტანგ კიკაბიძე დიმიტრი სანაკოევს კოცნის.**

**ჩანს, რას ამბობს ის და როგორ იქცევა. ამ ჩანაწერის ნახვის შემდეგ ჩემთვის გასაგები გახდა, საყვარელი მსახიობი, რომელიც ბევრი რამით არის რუსეთისგან დავალებული, რატომ აკეთებდა აგვისტოში ასეთ მკვეთრ განცხადებებს, — განაცხადა კოკოითიმ.**

**დე ფაქტო პრეზიდენტის თქმით, დიმიტრი სანაკოევი და კიდევ რამდენიმე ადამიანი საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1998 წელს გადაიბირა.**

**ახლა შეიძლება, დარწმუნებით ითქვას, რომ სამხრეთ ოსეთის მთავრობა ქართულ სპეცსამსახურებთან თითქმის მთლიანად იყო დაკავშირებული. მათ რესპუბლიკა სრული გაკოტრებისკენ მიჰყავდათ, რათა შემდეგ ის ამერიკული ფულით ეყიდათ, — განაცხადა დე ფაქტო პრეზიდენტმა.**

## „მეზობელი ქვეყნის" შანტაჟი

**უკრაინის თავდაცვის მინისტრი იური ეხანუროვი საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაზე „რეგიონების პარტიის" აქტიურობას რუსეთის შანტაჟს უკავშირებს.**

**უკრაინული სააგენტო „უნიანის" ინფორმაციით, ეხანუროვმა განაცხადა, რომ ამ საკითხზე შექმნილი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე ვალერი კონოვალიუკი საქართველოსთვის იარაღის მიწოდების უკანონობაზე „მეზობელი ქვეყნის" შანტაჟის გამო საუბრობს.**

**იმ ქვეყანაში (რუსეთში), კონოვალიუკზე იმდენი კომპრომატია, რომ მას ძალისხმევა სჭირდება, რათა კომპრომატები არ გამოქვეყნდეს — დასძინა უკრაინის თავდაცვის მინისტრმა.**

**უმაღლესი რადას დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ არაერთხელ დაადანაშაულა პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო საქართველოსთვის იარაღის უკანონო მიწოდებაში, მათ შორის საქართველოში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგაც.**

ინტერპრესნიუსი

◉ გულისტკივილი

# აფხაზებსა და ოსებს ერთჯერადი მოხმარების ნივთივით იხმარენ და... გადააგდებენ

**მსგავსი მოსაზრება გულუბრყვილოდ, მაგრამ ნათლად გამოთქვა ამ რამდენიმე თვის წინათ ბატონმა ჟირინოვსკიმ თავის ერთ-ერთ გამოსვლაში.** ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, სათაურში გაზეთისთვის უჩვეულო სიტყვას რომ მოვუხმე, მაგრამ აფხაზთა და ოსთა დღევანდელ ქმედებას სხვა გამოთქმა ვერ მოვუძებნე. კავკასიაში (არც სამხრეთსა და არც ჩრდილოეთშიც) უფრო მოტყუებული, სხვის ფანდურზე მოცეკვავე ერები არ არსებობენ, ვიდრე აფხაზები და ოსები არიან. ჰგონიათ, რუსეთის დახმარებით საკუთარ საქმეს იგვარებენ, ეროვნულ თვითმყოფადობას იცავენ, დამოუკიდებლობას მიაღწევენ და ოცნებას აისრულებენ. მაგრამ მალე ნათლად დაინახავენ, რომ რუსეთი მათ საქართველოს წინააღმდეგ იყენებს. აფხაზებსა და ოსებს თუ ჰგონიათ, რომ მათ მშვენებარე სამხედრო ბაზებში დაასაქმებენ, ძალიანაც ცდებიან. სულ მალე საქართველოს ამ რეგიონებში აფხაზები და ოსები სავალალო უმცირესობაში აღმოჩნდებიან, როგორც იტყვიან, თითზე ჩამოსათვლელნი დარჩებიან. მშობლიური ენის შენარჩუნებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ოსი და აფხაზი ეთნოსის „გადასარჩენად" მოხმობილმა უცხოტომელებმა არა ერთი ქართველთან დანათესავებული აფხაზი და ოსი გამოასალმეს სიცოცხლეს. ამის უამრავი მაგალითი ვიცით. ერთი კი განსაკუთრებით შემზარავია გასახსენებლად. 1993 წელს, ომის მიწურულს, იმ „მოხმობილებმა" ქართველებთან დანათესავებული აფხაზი იური ანუა მაშინ მოკლეს, როცა იგი ქართველებთან ერთად სოხუმის შემოგარენში ეკლესიას აშენებდა. სწორედ მშვენებარე ეკლესიის ეზოში გამოასალმეს სიცოცხლეს. ამ რამდენიმე კვირის წინათ აფხაზი ეთნოსის „გადასარჩენად" ჩამოსულებმა გალში 5 აფხაზი მოკლეს, მათ შორის გააფხაზებული ჩემი მოგვარეც.

ამას წინათ ერთ-ერთ საბავშვო ბაღში სამაჩაბლოდან დევნილები გავიცანი. მათში რამდენიმე ოსი იყო ეროვნებით, რამდენიმე კი ნახევრად ოსი და ნახევრად ქართველი. ასე რომ აგრესორებს ჩახუტებული სეპარატისტები საკუთარ ხალხს არ ინდობენ.

აი, რა „პატივს" მიაგებენ „მოხმობილები ოს-აფხაზ ეთნოსს, როგორ ზრუნავენ მათი გადარჩენისთვის. აგრესორებს ოღონდაც საქართველოს ნატოსკენ სწრაფვა ჩაახშობინე და... ფეხებზეც არ ჰკიდიათ ოსი და აფხაზი ეთნოსი?

უწინ არაერთ აფხაზსა და ოსს ვიცნობდი და პატივსაც ვცემდი მათ, როგორც კავკასიური ტრადიციების მატარებელ, კავკასიური თავმოყვარეობისა და ღირსების მქონეთ. მაშინ არ მეგონა, ისინი უცხოტომელთა ხელში ერთჯერადი გამოყენების ნივთი თუ გახდებოდნენ.

დღეებს ითვლის მათი თვითმყოფადობა...

**ანზორ გვარამია.**

მწერალი

◉ არის ასეთი აზრიც

# „მდიდრებიც ტირიან“...

## საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისთვისაც დადგა ანგარიშების გასწორების დრო...

(მეექვსე გვერდიდან)

საერთაშორისო დახმარების მილიარდობით დოლარი რომ არ გაფლანგულიყო სხვადასხვა დაბალი გემოვნების შოუებზე, „საფასადო“ რეფორმებზე, მესამეხარისხოვანი შეიარაღების შესყიდვაზე, არამედ, უბრალოდ განაწილებულიყო საქართველოს გაღატაკებულ მოსახლეობას შორის, ან მოხმარებოდა სოფლის მეურნეობის, აგრარული სექტორის აღდგენას, დღეს თითოეული ჩვენგანი ქუვეითის შეიხივით მდიდარი იქნებოდა. ამიტომ ხელისუფლებაში უნდა მოვიდეს პოლიტიკურადაც სალი ძალა (თაობა 50 წლამდე, უფრო ნაკლები — არა!), რომელიც ორიენტირებული იქნებოდა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის სწრაფ აღდგენაზე, საქართველოს სახელმწიფო ნეიტრალიტეტზე და ამავე დროს — მის ინტეგრაციაზე ევროკავშირში. მას, ამ ხელისუფლებას უკვე აღარასოდეს მოუვიდოდა აზრად თბილისის პუშკინის სკვერისთვის ვარშავის სახელის მინიჭება, მოსკოვის პროსპექტისთვის კი ცხინვალისა...

**— ესე იგი, საგარეო-პოლიტიკური კურსის კარდინალური ცვლილება?**

— სავსებით სწორია. მსოფლიო გლობალიზაციის ცენტრი ამერიკა აღმოსავლეთში ყოველთვის იყო „უცხო სხეული“, პოლიტიკურად არარეგიონული მოთამაშე, ამიტომ, ბოლოს და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტისადმი ყველა სიმპათიის მიუხედავად, ის ალბათ ვერ იქნება კავკასიაში „მსაჯული“. მაგალითად, სომხები და აზერბაიჯანელები დღესაც კი შუამავლად და გარანტად ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგებაში რუსეთს ირჩევენ. მე ჯერ კიდევ 2005 წლიდან ვაყენებდი გაცილებით უფრო მისაღებ ვარიანტს — ნეიტრალური სახელმწიფოს გზას არა მხოლოდ რუსეთის, არამედ გაეროს, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გარანტიებით! მაგრამ მთელი ეს წლები ჩვენი ხელისუფლება და მათი „ჯიბის პოლიტოლოგები“, რომლებსაც მე, პროქტოლოგებთან ანალოგიით, პროქტო-პოლიტოლოგები შევარქვი, ჩემს იდეებში ხედავდნენ მხოლოდ „შულავერის კომიტეტს“, „გრუ-ს აგენტებს“, „კრემლის ხელს“, „რუსეთის ფეხს“ და ასე შემდეგ, შედეგად დღეს მივიღეთ სწორედ ეს „ფეხი“, თუმცა უკვე ჩექმაში ჩვენს ცხვირწინ — დედაქალაქიდან ერთი საათის სავალში...

**— კეთილი, მაგრამ როგორ შეიძლებოდა წინასწარ გამოგვეცნო მოვლენათა განვითარება? როგორ შევძლოთ პოლიტიკის „მძვინვარე ოკეანეში“ ორიენტირება, როდესაც ზოგჯერ დაუძინებელი მტრები მოკავშირეები ხდებიან, ხოლო ისტორიული მეგობრები და მეზობლები, როგორც, მაგალითად, რუსეთი და საქართველო, დღეს ერთმანეთთან ბრძოლას იწყებენ?**

— სწორედ იმიტომ, რომ მოქმედი ცხოვრება სულ მოძრაობს და იცვლება, ჩვენ გვჭირდება ალმასის სიზუსტის ორიენტირი, ეს არის სწორედ სიმართლე... ის შეიძლება არ იყოს სრული, მაგრამ მას არ შეუძლია იყოს შეგნებულად დამახინჯებული — თვით ყველაზე მაღალი მიზნებისთვისაც კი! წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი დაიშლება. მეზღვაურს არ შეუძლია აიღოს ორიენტაცია ვარსკვლავთცვენაზე...“ — წერს მწერალი ფაზილ ისკანდერი.

ისე როგორ გამოდის — ცხოვრება იცვლება და სიტყვათა მნიშვნელობაც მასთან ერთად იცვლება?! ანდა, იქნებ, ზოგიერთ სიტყვას თავდაპირველად განსხვავებული აზრი ჰქონდა სხვადასხვა ხალხისთვის? ერთნაირია რუსებისთვის, ქართველებისა და ამერიკელებისთვის ორიენტირი, როცა ამბობენ სიტყვას „სიმართლე“? ხომ არ დაგვიმახინჯებია ჩვენ სიმართლე, როდესაც მას ოკეანის გაღმა ვეძებდით, ორიენტაციას ხომ არ ვიღებდით „ვარსკვლავთცვენაზე“, როგორიც, უეჭველია, იყო ამერიკის შეერთებული შტატების წინა ადმინისტრაცია?!

**— მივაღწიეთ ჩვენს მაღალ მიზანს — ერთიანი საქართველოს კეთილდღეობას — როდესაც ორიენტირად ავირჩიეთ ნატოს ოთხქიმიანი ვარსკვლავი კრემლის ხუთქიმიანი ვარსკვლავის სანაცვლოდ?**

არ ვფიქრობ... ვფიქრობ მხოლოდ იმას, რომ დღეს საქართველომ და რუსეთმა უნდა უთხრან ერთმანეთს, ჯერჯერობით თუნდაც არასრული, მაგრამ შეგნებულად დაუმახინჯებელი სიმართლე! იქნებ მაშინ გავიხსენებთ, რომ ერთი ძველი მეგობარი ორ ახალს სჯობს... და აქ ორიენტირი უნდა იყო? არა ვარსკვლავები ან ნახევარმთვარე, არამედ ანჩისხატის ქართული მართლმადიდებელი ტაძრის ჯვარი, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ბევრი მეგობარიც იხილა და ბევრი მტერიც...

**რომან ტემნიკოვი.**
DAY.Az

◉ ინფორმაცია

### „ყაზტრანსგაზი“ მოსახლეობას ატყუებდა

**კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისს“, შესაძლოა, ახალი მრიცხველების დაყენებისთვის აბონენტების მიერ გადახდილი თანხის დაბრუნება მოუხდეს.**

**როგორც ენერგოომბუდსმენმა მალხაზ ძიძიკაშვილმა განაცხადა, აღნიშნულ საკითხზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) 10 დეკემბერს იმსჯელებს. იგეგმება „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ 15 000 ლარით დაჯარიმებაც.**

**მალხაზ ძიძიკაშვილის განმარტებით, თუ ლაბორატორიული შემოწმების შედეგად დადგენილია, რომ გაზის მრიცხველი მწყობრიდან აბონენტისგან დამოუკიდებელი მიზეზებით არის გამოსული, ახალი მრიცხველის დაყენების საფასურის გადახდა თავად გაზგამანაწილებელი კომპანიის მიერ უნდა მოხდეს. ენერგოომბუდსმენთან კი შესულია 20-მდე მოქალაქის განაცხადი, რომლებმაც ახალი მრიცხველის საფასური თავად გადაიხადეს.**

**აბონენტისთვის ბუნებრივი აირის მოხმარების წესებით გაუთვალისწინებელი ვალდებულების დაკისრების გამო „ყაზტრანსგაზი“ სემეკ-მა ერთხელ უკვე დააჯარიმა, შესაბამისად, ამჯერად ჯარიმის ოდენობა გასამმაგდება.**

**რაც შეეხება მომხმარებლისთვის მრიცხველის დაყენების საფასურის ანაზღაურებას, ის, შესაძლოა, გაზის საფასურის გაქვითვაში გამოიხატოს.**

ინტერპრესნიუსი

◉ მჯობნის მჯობნი არ დაილევა

# კონდოლიზა რაისს აშშ სახელმწიფო მდივნის პოსტზე ჰილარი კლინტონი შეცვლის

***აშშ-ს ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, თანდათან რომ აკომპლექტებს ქვეყნის ახალ ადმინისტრაციას, სახელმწიფო მდივნის დიდად საპასუხისმგებლო პოსტზე დანიშნა თავისი ყოფილი მეტოქე საპრეზიდენტო არჩევნებში, თანაპარტიელი ჰილარი კლინტონი, რომელმაც საარჩევნო ბრძოლა შეწყვიტა მხოლოდ საფინიშო სწორზე, გზა დაუთმო ობამას და მთელი თავისი მძლავრი ელექტორატით დაეხმარა მას გამარჯვებაში. ჰილარი როდემ კლინტონი (ასეთია მისი სრული გვარ-სახელი) ალბათ 20 იანვრიდან ჩაუდგება ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ უწყებას და ამით ის იქნება ამერიკის შეერთებული შტატების მთელს ისტორიაში ამ თანამდებობის მესამე ქალი. ალბათ გახსოვთ, 90-იან წლებში მისი წინამორბედი იყო მადლენ ოლბრაიტი (ჰილარის განუყრელი მეგობარი), ახლა კი ამ პოსტზე ქალბატონმა კლინტონმა უნდა შეცვალოს შავკანიანი რესპუბლიკელი კონდოლიზა რაისი. მოგეხსენებათ, „ახალი ცოცხი“ (ბოდიში ასეთი შედარებისთვის) კარგად ჰგვისო, ვნახოთ რით აჯობებს უპირველეს ყოვლისა მის უშუალო წინამორბედს, გაცვეთილს კი არა, უკვე საქმით გამოცდილსა და გამობრძმედილს. მოდით, ჩვენც ასე მოვიქცეთ, გავერკვეთ, რით ჰგავს ერთმანეთს ან განსხვავდება ამერიკის ორი მაღალჩინოსანი.***

### ჰილარი კლინტონი

**ასაკი, ზოდიაქოს ნიშანი**

61 წელი, ღრიანკალი.

**განათლება**

ბრწყინვალედ დაამთავრა სახელგანთქმული იელის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

**კარიერა**

ასწავლიდა იურისპრუდენციას არკანზასის უნივერსიტეტში. შემდეგ სათავეში ჩაუდგა იურიდიულ ფირმას Rose law firm. გამოიმუშავებდა წელიწადში 250 000 დოლარს (მისი ქმრის, არკანზასის გუბერნატორის ხელფასი გაცილებით მცირე იყოძ



**ოჯახური ცხოვრება**

ბილი „გამოიჭირა“ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს. მისთხოვდა 1975 წელს. ბილი გამუდმებით ღალატობდა მეუღლეს და კინაღამ „დაიწვა“ სტაჟიორ მონიკა ლევინსკთან სექს-სკანდალში.

**მეტსახელი (თიკუნი)**

თავისი მიმწოლი ხასიათისთვის, შრომისმოყვარეობისთვის, მაღალი ინტელექტისთვის, აგრეთვე ქმარზე დიდი გავლენისთვის თავისიანების გარემოცვაში მეტსახელად მიიღო „ტანკეტკა“.

**სტილი**

კლასიკური კაბები ან შარვალ-კოსტიუმი, შეკერილი არცთუ თვალშისაცემ ტონებში. მოკრძალებულობა მოსართავებში, ერთი ასხმა მარგალიტი ან ბროში.

**თავისუფალი დრო**

სპორტული გარბენა, ყვავილების გამოყვანა საშინაო ორანჟერეაში.

**სამზარეულო**

ამჯობინებს უბრალო საჭმელს. გიჟდება ბროკოლებზე. ბილი ჩიოდა, რომ მას ხორციანი კარტოფილის ნაცვლად სტენიან ბოსტნეულს, სოიოსა და ბრინჯს.

### კონდოლიზა რაისი

**ასაკი, ზოდიაქოს ნიშანი**

54 წლის, ღრიანკალი

**განათლება**

შევიდა პროვინციულ დენვერის უნივერსიტეტის მუსიკალურ ფაკულტეტზე როიალის კლასით, მაგრამ შემდეგ მკვეთრად წავიდა პოლიტიკაში.



**კარიერა**

ფინანსურ მენეჯმენტში ლექციებს კითხულობდა სტენფორდის უნივერსიტეტში. შემდეგ მუშაობდა ნავთობის კომპანიაში „შევრონი“. იქ გახდა დირექტორთა საბჭოს წევრი, წელიწადში 500 000-დოლარიანი ხელფასით.

**ოჯახური ცხოვრება**

„მე ქმრადა მყავს მუშაობა“ — მუდამ იმეორებდა კონდი. ავყიები მას ბრალად სდებდნენ არასტანდარტულ სექსუალურ მიმართულებას. მაგრამ ჭორების იქით საქმე არ წასულა.

**მეტსახელი (თიკუნი)**

კოლეგები „ფოლადის მაგნოლიას“ ეძახდნენ, როგორც ბუშის ადმინისტრაციის კაბინეტის მტკიცე იდეოლოგს, მკაცრ და ეფექტიან მენეჯერს.

**სტილი**

ყველაფერი ისეთივე, მაგრამ ქვედატანს უფრო ხშირად იცვამს. დევიზი „დახვეწილი და ძვირფასი“. მხოლოდ იშვიათადაა ღია სალამოს კაბაში ან კოვბოურ სამოსში.

**თავისუფალი დრო**

მუზიცირებს როიალზე ცნობილ ვიოლონჩელისტ იო-იო მასთან ერთად.

**სამზარეულო**

იცნობენ გურმანად. ფრანგული სამზარეულოს დამფასებელია. მშვენივრად ერკვევა ძვირადღირებულ ღვინოებში.

***დასკვნა:** ორივე ქალი პატივმოყვარეა, მტკიცე ხასიათის, რკინისებური ხასიათის გამოჩენით. ერთი სიტყვით, ერთმანეთს არ ჩამორჩებიან: ღრიანკალი ღრიანკალმა შეცვალა. როგორც ამბობენ, ჰილარი, როგორც რაისი, რუსეთისადმი მკაცრადაა განწყობილი, მაგრამ არა კონფრონტაციულად. ჩვენთვის მთავარია, რომ ჰილარი, როგორც რაისი, ჩვენდამი კეთილგანწყობილი იყოს. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.*

◎ გამოიცა

# „ვეფხისტყაოსანი“ და „ბიბლია“




**გასული საუკუნის 70-წლების დასაწყისში საქართველოში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ცნობილი ემიგრანტის, გამოჩენილი მეცნიერის ვიქტორ ნოზაძის პირადი წერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისადმი.** ბატონი ვიქტორი გულისტკივილს გამოთქვამდა „რუსთველოლოგიისადმი“ ნაკლები ყურადღების გამო და სამშობლოდან „მოკვეთილი“ მეცნიერი თავაზოდა თავისი წვლილი შეეტანა ამ საქმეში. იმ დროისათვის მას უკვე დაწერილი ჰქონდა ცნობილი (შემდგომში!ძ ნაშრომი — „ვარსკვლავთმრიცხველობა ვეფხისტყაოსანში“.

ასე მგონია, სწორედ ამის შემდეგ დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ უფრო აქტიური შესწავლა და კვლევა.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია კიდევ ერთი ნაშრომის გამოცემის ფაქტი. ეს გახლავთ ბატონ **პარმენ მარგველაშვილის** შესანიშნავად დასტამბული (გამომცემლობა „ნეკერი“ძ წიგნი — **„რუსთაველის მსოფლმხედველობა“.** იგი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ის აღსაყდრებიდან 30-ე და დაბადებიდან 75-ე წლისთავს.

ეს ეპიგრაფი, გარდა იმისა, რომ პატრიარქისადმი უდიდესი მოწიწებით არის ნაკარნახევი, თვითონ წიგნის მთავარი მიმართულებიდან გამომდინარეობს — „ვეფხისტყაოსანი“ და ბიბლია!

ნათქვამის ჭეშმარიტებაში თვალნათლივ დარწმუნდებით, თუ თვალს მივადევნებთ ამ საკმაოდ სქელტანიანი ნაშრომის თუნდაც სარჩევსაც:

„რა გაკვეთილებს წარმოაჩენს „შესაქმის“ ტექსტიდან რუსთაველი?“

„როგორ უნდა „არგოს“ რუსთაველის შაირმა მსმენელს?“

„ვის ჰმართებს ქვეყნად მეფობა?“

„რას ნიშნავს „ბოროტსა სძლია კეთილმან არსება მისი გრძელია?“

„მატერიალური გარემოს რა გაკვეთილებია მოხმობილი „ვეფხისტყაოსანში?“

„ვინ არის შექებული „ვეფხისტყაოსანში?“ და ასე შემდეგ.

წიგნის ავტორის შესამკობად უნდა ითქვას, რომ ნაშრომის ყოველ სტრიქონში იგრძნობა „ვეფხისტყაოსნისა“ და „ბიბლიის“ უდაო ერთარსება. და ეს არის უპირველესი ღირსება ბატონ პარმენ მარგველაშვილის წიგნისა „რუსთაველის მსოფლმხედველობა“. მკითხველს ელოდება მისი გაცნობით გამოწვეული სიამოვნება და აქ სიტყვას არ გავაგრძელებ. მით უმეტეს, რომ როგორც ვიცი, მეცნიერ-სპეციალისტებს უკვე მაგიდაზე უდევთ ეს წიგნი და ღრმად განსჯისთვის ემზადებიან.

**ზაურ ფიფია**

◎ ქართული ლექსი სომხურად

# „ზღვის ყაყაჩო“

**ცნობილი ქართველი პოეტის გენო კალანდიას პოეზია საყოველთაო სიყვარულით მარტო ქართულ საზოგადოებაში კი არ სარგებლობს, არამედ მის შემოქმედებას პატივს სცემენ და უყვართ სომხეთშიც.** ეს პოპულარობა ქართველ პოეტს მისი ლექსების სომხურმა თარგმანებმა მოუტანა. ეს თარგმანები კი სხვადასხვა დროს, რამდენიმე კრებულის სახით გამოიცა ერევანში.

ახლახან გამოვიდა გენო კალანდიას ლექსების სომხურ თარგმანთა მორიგი კრებული. კრებულის სახელწოდებაა — **„ზღვის ყაყაჩო“.** თარგმანი შესრულებულია თბილისელი თვალსაჩინო სომეხი პოეტის მიქაელ ახტიანის მიერ. მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გენო კალანდიას პოეზიის ლირიზმი, მოქალაქეობრივი შემართება კარგად გადმოუტანია სომხურ ენაზე. თარგმანი იმდენად მხატვრულ დონეზეა შესრულებული, რომ სომეხი მკითხველი ვერც კი იგრძნობს ეს თარგმანია თუ ორიგინალური სომხური პოეტური ქმნილება. ეს ბუნებრივობა ლექსის ტექსტისა მიღწეულია მთარგმნელის პოეტური ნიჭიერებით, ქართულის ცოდნით და, რაც მთავარია, სომხური მხატვრული ლექსიკის, შედარებების, მეტაფორების და სინონიმების მარჯვედ გამოყენებით.

რაც შეეხება კრებულის სათაურს — „ზღვის ყაყაჩო“ მიქაელ ახტიანმა მას საინტერესო გააზრება მისცა. მასში იგულისხმება აფხაზეთი, რომელიც შავ ზღვას ყაყაჩოსავით ამშვენებს, მაგრამ ყაყაჩოსავით გულში შავად აქვს ჩაწნული ათასობით დევნილი ქართველის სევდა და ნაღველი.

ეს კრებული კიდევ ერთხელ გაახარებს გენო კალანდიას პოეზიის მოყვარულ სომეხ მკითხველს. იგი მთარგმნელის — მიქაელ ახტიანის შემოქმედებით წარმატებადაც უნდა ჩაითვალოს.

**ბონდო არველაძე**



◎ ინფორმაცია

## ტარიფებში ცვლილებებია

**„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ დადგენილებაში სემეკ–ი ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს შეიტანს.**

**როგორც სემეკ–ის თავმჯდომარემ გურამ ჩალაგაშვილმა განაცხადა, მოხდება არსებული 3 დადგენილების გაერთიანება.**

**ცვლილება არ შეეხება ელექტროენერგიის ტარიფების ოდენობას. თუმცა, მოსახლეობის სასარგებლოდ მოხდება საფეხურებრივი ტარიფის დაზუსტება.**

**კერძოდ, თუ აქამდე მოსახლეობა თვეში 101 კვტ/სთ ელექტროენერგიის მოხმარების შემთხვევაში, ტარიფს მეორე საფეხურის ტარიფით იხდიდა, ახალი დადგენილების მიხედვით, კომპანიები ვალდებულნი იქნებიან, მოსახლეობას თანხა 100 კვტ/სთ–მდე არსებული ტარიფით დაურიცხონ. ანალოგიურად დადგინდება ტარიფი მესამე საფეხურისთვის, თვეში 301 კვტ/სთ–მდე ელექტროენერგიის მოხმარების შემთხვევაში.**

ინტერპრესნიუსი

# განცხადებები აუქციონების ჩატარების შესახებ

**ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია 2008 წლის 22 დეკემბერს, 15 საათზე, თერჯოლაში, ჭანტურიას ქუჩა №7-ში (თერჯოლის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს „მრეწველის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1 ყოფილი ლიმონათის საამქრო მდებარე თერჯოლაში, ობიექტი აგებულია რკინა- ბეტონის კონსტრუქციებზე, საკედლე ფილებით, კედლები საყრდენ სვეტებზე, სახურავი დახურულია ოვალური რკინა-ბეტონის ფილებით, სახურავი დგას 12 მეტრიან რკინა-ბეტონის ე.წ. „ბალკაზე”. ობიექტის საერთო ფართია 1152 კვმ (48X24), სარეალიზაციოდ გამოტანილია ქონება 65000 ლარად,

2. კირქვის გამოსაწვავი ღუმელი, მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას, ალაგ-ალაგ ჩამოშლილია აგური, ობიექტი შეფასებული 3000 ლარად, ქონება მდებარეობს თერჯოლის რ-ნის სოფ. ძევრში.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 68000 (სამოცდარვა ათასი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. □1

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79**

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 22 დეკემბერს, 14 საათზე, თერჯოლაში, ჭანტურიას ქუჩა №7-ში (თერჯოლის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს „თერჯოლის მექანიკური ქარხანა”-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. შენობა ტრანსფორმატორისთვის, 20კვმ, აშენებული აგურით, შეფასებულია 1700 ლარად.
2. მექანიკური საამქროს შენობაში არსებული დანადგარები, დიდი წნეხი 1400 ლარი, პატარა წნეხი 800 ლარი.
3. მთავარი საწარმოო კორპუსი, დაუმთავრებელია, საჭიროებს შეკეთებას, 645კვმ, შეფასებულია 3200 ლარად.
4. ტრანსფორმატორი 630კვტ-იანი, მუშა მდგომარეობაში, შეფასებულია 11000 ლარად.
5. ჰორიზონტალური სარანდავი დაზგა, არ აქვს ძრავი, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 1200 ლარად.
6. ვერტიკალური საბურღი ჩარხი, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 500 ლარად.
7. მილის საღუნავი დაზგა, შეფასებულია 700 ლარად.
8. წნეხი 20-ტონიანი, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 1200 ლარად.
9. სახარატო დაზგა, ფაქტიურად ჯართი 1ტ. შეფასებულია 250 ლარად.
10. აბაზანა რკინის, მიწის ქვეშ, შეფასებულია 0 ლარად.
11. ვენტილატორი გამწოვი, აღდგენას არ ექვემდებარება, 3 ცალი, შეფასებულია 500 ლარად.
12. უცენტრო სახეხი დაზგა, ფაქტიურად ჯართი, 2 ცალი, შეფასებულია 150 ლარად.
13. მილის საღუნავი დაზგა, ფაქტიურად ჯართი, შეფასებულია 200 ლარად.
14. ვერტიკალური ბურღი, ფაქტიურად ჯართი, 2ც, შეფასებულია 150 ლარად.
15. ქრომის აბაზანა, სახურავის გარეშე, ჯართია, შეფასებულია 250 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 23200(ოცდასამიათას ორასი ) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. □1

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79**

სუპერთასი

# ხუთგზის!

**თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი ლევან ხმალაძე შედეგიანობით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში „ზესტაფონის“ მეკარე ნიკა კვასხვაძე ამოილო მიზანში და, შეიძლება ითქვას, მთელი სეზონის გეგმა შეასრულა.**



საოცარი, იცით, რა არის? ჯერ მან დამატებითი დროის მიწურულს დაამწუხრა ყვირილასპირელები და პარტნიორები დავით ყიფიანის სახელობის ყაზბეგის თასის გათამაშების ნახევარფინალში გაიყვანა, ხოლო შემდეგ ქვეყნის სუპერთასისთვის გამართული პრინციპული შეხვედრის ძირითადი დროის ბოლო (ისევ ბოლო!) წუთზე გაახარა „თეთრ-ლურჯთა“ ქომაგები, თანაც მიზანს ორივეჯერ ზუსტი თაური დარტყმით მიაღწია. აღსანიშნავია, რომ გოლი როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში სტანდარტული მდგომარეობის გათამაშებას მოჰყვა – ასისტენტობა მას ოდიკაძემ და დილმელაშვილმა გაუწიეს.



ბარემ, ერთ ფაქტსაც გავუსვათ ხაზი – განვლილ კვირაში სტუმრები უკანასკნელად დამოძღვრა თემურ მახარაძემ, გუშინწინ კი ხმალაძემ დებიუტი მის შემცვლელ გია გეგუჩაძეს ჩაუმწარა.

დავძენთ, რომ რაინელ ცოზელის შეგირდებმა საპატიო ჯილდო და ფულადი პრიზი – 25 ათასი ლარი სამწლიანი პაუზის შემდეგ მეხუთედ მოიპოვეს.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

ძიუდო

# მსოფლიო თასისთვის მოემზადებიან

**დილმის ძიუდოს აკადემიის დარბაზში დამთავრდა საქართველოს ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატი. სამი წონითი კატეგორიის პრიზიორთა ვინაობა უკვე გაუწყეთ, დღეს კი მომდევნო ოთხ წონაში გამარჯვებულებს გაგაცნობთ:**



**81 კგ.** 1. ხვიჩა ხუციშვილი (იმერეთი), 2. გიორგი შინჯიკაშვილი (ქვემო ქართლი), 3. ლევან წიკლაური (აჭარა) და საბა გავაშელიშვილი (კახეთი).

**90 კგ.** 1. მინდია ბოდაველი (მცხეთა-მთიანეთი), 2. გრიგოლ მამრიკიშვილი (იმერეთი), 3. რევაზ ჩიკოიძე (თბილისი) და ზვიად გოგოჭური (კახეთი).

**100 კგ.** 1. დავით ლორიაშვილი (ქვემო ქართლი), 2. დიმიტრი ტურაშვილი, 3. ვალერი იმერლიშვილი (ორივე – კახეთი) და რევაზ მიქაბერიძე (გურია).

**მძიმე წონა.** 1. ზვიად ხანჯალიაშვილი, 2. ალექსი დავითაშვილი (ორივე – კახეთი), 3. ზვიად ჩინჩალაძე (ქვემო ქართლი) და ადამ ოქრუაშვილი (მცხეთა-მთიანეთი).

საფრანგეთში 20-21 დეკემბერს აბსოლუტური მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. ამ შეჯიბრებაში საქართველოდან ლაშა გუჯეჯიანი და ზვიად ხანჯალიაშვილი იასპარეზებენ.

დღეიდან ჩვენი საუკეთესო ძიუდოისტები ბორჯომში ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას იწყებენ. ისინი 2009 წლის თბილისის მსოფლიო თასისთვის მოემზადებიან.

ექსტრიმი

# ტრასაზე რისკიანები გამოდიან




**საქართველოს ოფროუდერთა კლუბი (მმართველობის თავმჯდომარე – დავით სოსელია, მისი მოადგილე – ნიკა ვარძელაშვილი) 2005 წელს შეიქმნა და ოფიციალურად შარშან დარეგისტრირდა.**

მართალია, მისი წევრი ჯერჯერობით მხოლოდ 25 ავტომოყვარული გახდა, მაგრამ ხანმოკლე ბიოგრაფიის მიუხედავად უკვე რამდენიმე საინტერესო ასპარეზობის გამართვა მოასწრო როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში.

ხვალ დიდი დილმის მიმდებარე ტერიტორიაზე სეზონის დასკვნითი შეჯიბრება მოეწყობა სამ ჯგუფში: სტანდარტული ლაითი, სტანდარტული და მომზადებული.

სტარტზე გამოსვლის ნებისმიერ მსურველს უნდა ჰქონდეს B კატეგორიის მართვის მოწმობა, ჰყავდეს 4X4 ტიპის ავტომობილი და გადაიხადოს საწევრო შესატანი (კლუბის წევრები დისტანციაზე უფასოდ დაიშვებიან).

დავძენთ, რომ ექსტრემალთა რბოლების სპონსორები თეგეტა მოტორსი და ავერსი ფარმა იქნებიან, ხოლო საინფორმაციო მხარდაჭერას სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“, ავტოკლინიკა, ავტორადიო, გაზეთი ვერსია და ჟურნალი ავტობილდი განახორციელებენ.

უმაღლესი სკოლა

# არის ასეთი უბანი

**ქალაქური ფეხბურთის მექა – ასე იცნობს გულშემატკივარი საბურთალოს რაიონს. სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობას აქაურები დღესაც დიდ ყურადღებას უთმობენ, რასაც თბილისის მერიის მხარდაჭერით ახერხებენ.**





როგორც ყველა საქმეს, მასაც ენთუზიასტთა ძალისხმევით აბამენ თავს, ასეთები კი, იცოცხლეთ, ჯერაც შემორჩნენ აღნიშნულ უბანში. საილუსტრაციოდ ამჯერად საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის თავმჯდომარეს იროდი ბეჟაშვილს, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის რექტორს სერგო მელაძეს და ამავე უმაღლესი სასწავლებლის სპორტის პროგრამების განყოფილების უფროსს ვახტანგ ბაქანიძეს დავასახელებთ, რომელთა ინიციატივითაც სამი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა თასების თასის მფლობელის ვაჟა ჟვანიას სახელობის ტურნირი მინიფეხბურთში საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტუდენტებს შორის.

ფინალში ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის გუნდმა 6:3 მოუგო საერო უნივერსიტეტ „მეტეხის“ წარმომადგენლებს და მთავარი პრიზი მოიპოვა. მესამე ადგილი ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტმა დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ პრიზიორები დამოუკიდებლობის პერიოდში პირველად დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებით, საუკეთესო მოთამაშეებს კი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში დასტამბული უხვად ილუსტრირებული წიგნი „ისწავლე ფეხბურთი“ გადაეცათ.

**სურათებზე: გამარჯვებული გუნდი; ასპარეზობის მომენტი.**

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

მეზობლებთან

# დიდი რუსული სირცხვილი

**ასე აღიქვეს ფეხბურთის მოყვარულებმა მოსკოვის ოლქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება – შეაერთოს ფეხბურთის კლუბები „სატურნი“ და „ხიმკი“. თურმე ეს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის „ბრალი“ ყოფილა.** უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ თითქოს ამ გაერთიანების შესახებ რუსული ფეხბურთის ხელმძღვანელობამ რაღაც ყურმოკრულად იცოდა.

ასტროლოგები სატურნს დიდი უბედურების პლანეტად მიიჩნევენ, მისგან სიხარულისა და სინათლის იდეა შორსაა. სწორედ ასეთი უბედურება დაატყდა „სატურნს“ და მასთან ერთად „ხიმკის“, რაღაც გაუგებარია თეზისი – თითქოს მოსკოვის შემოგარენისთვის ორი გუნდი ბევრია. ეს აზრი, მართალია, ორიოდე წლის წინათ გამოითქვა, როცა ფინანსური კრიზისის ხსენებაც კი არ იყო. მთავარი ისაა, რომ ამ გაერთიანების არსში ჯერჯერობით ვერ გარკვეულან ვერც ფეხბურთელები და ვერც გულშემატკივრები.

ინტერნეტიდან



## იახტა „კოსატკა“ ბადეში

**სენსაციური შემთხვევა მოხდა იალქნიანი იახტებით დედამიწის გარშემო რბოლაზე Volvo Ocean Race – ინდოელი მეთევზეების ბადეში გაება რუსული ხომალდი Team Russia „კოსატკა“. ისე რომ, მეზღვაურებს მოუწიათ წყალში ჩაყვინთვა და ბადიდან თავის დახსნა.**

ამ დროს რბოლაში მონაწილეებს უხდებოდათ მსუბუქ და ცვალებად ქარში წინსვლა, რაც ხშირად 2 კვანძს არ აღემატებოდა. ბოლოს სამშაბათს მოახერხეს ჩრდილო-აღმოსავლეთი ქარის „გამოჭერა“, მხოლოდ მაშინ „გაფრინდნენ“ ფინიშისკენ იახტები, დღე-ღამეში 200-ზე მეტ მილს რომ გადიოდნენ. ხსენებული ინციდენტის გამო რუსული ხომალდი თითქმის ბოლოს მივიდა ფინიშთან ინდოეთის ქალაქ კოჩინთან, სადაც მას უკვე ელოდა იქ ადრე ჩასული შვიდი იახტა.

## ამბობენ, მართალია?



**ესპანურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს ამ დღეებში ინგლისური „მანჩესტერ სიტი“ დაუკავშირდა სამეფო კლუბის „რეალის“ მეკარის იკერ კასილიასის აგენტს და მისი მეშვეობით კლუბს შესთავაზა 150 მილიონი ევრო, ხოლო თავად კასილიასს ხელფასი – წელიწადში 12 მილიონი ევრო. სამი თვის წინათ მეკარემ უკვე უარყო ასეთი წინადადება. მაშინ ლაპარაკი იყო 120 და 12 მილიონზე.**

„რეალის“ ხელმძღვანელობას ოფიციალურად ასეთი შეთავაზება ან წერილი არ მიუღია, ხოლო თავად კასილასის თქმით, ის არ აპირებს მანჩესტერის კლუბში გადასვლას, თუმცა იქ ორჯერ მეტი ხელფასის მიღება შეუძლია.

## ჩოგბურთის კორტებიდან „პლეიბოიში“



**კარიერის დამთავრების შემდეგ ჩოგბურთის ვარსკვლავები უფრო ხშირად სამოდელო ბიზნესში მიდიან. გამონაკლისი არც არგენტინელი ვიქტორია ვანუჩია. დიდი სპორტიდან რომ წავიდა, ის მოდელად იქცა ისეთი პოპულარული ჟურნალებისთვის, როგორიცაა Pleyboy და Maxim.**

ჩოგბურთის თამაში მან ადრე ბავშვობისას დაიწყო. წვრთნიდა გილერმო ვილასი. ქალიშვილმა, ის-ის იყო მოზრდილთა დონეზე დაიწყო თამაში, როდესაც სერიოზული ტრავმა მიიღო. რამაც მომავალზე მის ოცნებებს ჯვარი დაუსვა. მაშინ ლამაზმანმა გადაწყვიტა კორტებიდან პოდიუმზე გადასვლა.

გაუმართლა კიდევაც! მალე ყველა პოპულარულმა გამოცემამ დაიწყო მისი მიწვევა ფოტოსესიებზე და ვანუჩი სამშობლოში დიეგო მარადონაზე პოპულარული გახდა. პრესაში მას ხშირად უწოდებენ „სექსუალურს“, „მხურვალეს“, „მცხუნვარეს“.

მის ბევრ ფოტოსურათს მნახველები გაოცებისგან პირდაღებულნი შესცქერიან. ამას წინათ მან ჟურნალს Maxim განუცხადა, რომ ის არასოდეს აირჩევდა მეძავის პროფესიას „ვერ შევძლებდი სექსისთვის ფულის აღებას, – თქვა მან, – უარეს შემთხვევაში, მე თვითონ გადავიხდიდი“.

კახეთის მხარე

## სოფელ ჭერემის ტურისტული პოტენციალით ბერძენი ინვესტორები დაინტერესდნენ



**ბერძნები ჭერემს ესტუმრნენ და სოფელი დაათვალიერეს. ერთ-ერთმა ინვესტორმა ვასილ ალექსიდმა გაკვირვება ვერ დამალა და ხმამაღლა თქვა: აქამდე ხელისუფლებამ როგორ არ იზრუნა ჭერემში ინფრასტრუქტურის განვითარებაზეო!**

ბერძენი ინვესტორები ჭერემს მეორედ 2009 წლის იანვარში ეწვევიან კონკრეტული ღონისძიებების განსახორციელებლად. მანამდე მათ მიერ გადაღებულ მასალას სპეციალისტები საბერძნეთის დედაქალაქ ათენში დაამუშავებენ.

წინასწარი ინფორმაციით, ბერძენი ინვესტორები ჭერემში დასასვენებელი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის აშენებას და უცხოელი ტურისტების ჩამოყვანას გეგმავენ.

სოფელი ჭერემი V საუკუნის მეორე ნახევარში მეფე ვახტანგ გორგასალმა დააარსა, რის შემდეგაც ტახტის მემკვიდრეს — დაჩის უბოძა. ამავე პერიოდში დაარსდა ჭერემის საეპისკოპოსო ეპარქია და ჭერემი კახეთის პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრად იქცა. 1984 წელს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჭერემში ვახტანგ გორგასლის სასახლის კომპლექსის ნანგრევები აღმოაჩინა, რომელიც ისტორიკოსების შეფასებით, უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული ძეგლია. ჭერემში დღემდეა შემორჩენილი მე-5 საუკუნის თელეთის წმინდა გიორგის სახელობის ბაზილიკა, ამავე საუკუნის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესია, მე-11 საუკუნის ღვთისმშობლის სახელობის საეპისკოპოსო ტაძარი და სხვა ძეგლები. ჭერემი მაღალმთიანი სოფელია და შუაგულ ტყეში მდებარეობს.

## პროექტმა — „100 ახალი საავადმყოფო“ ჩაილურის წყალი დალია

**ხელისუფლების მიერ „100 ახალი საავადმყოფოს“ პროექტის ფარგლებში ერთი ახალი საავადმყოფოს მშენებლობა გურჯაანშიც იყო დაგეგმილი. ოფიციალური ინფორმაციით, სამშენებლო სამუშაოები რამდენიმე თვის წინათ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ საავადმყოფოს ასაშენებლად შერჩეულ ადგილს დღემდე მხოლოდ სამშენებლო კომპანია „ახალი სტილის“ სარეკლამო ბანერი „ამშვენებს“.**

„სამშენებლო სამუშაოები ცენტრალური ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსებულიყო. თანხა არ გამოყოფილა, რის გამოც საავადმყოფოს მშენებლობაც ვერ დაიწყო“, — განუცხადეს კახეთის საინფორმაციო ცენტრს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურში.

## ფერეიდნელმა ქართველებმა გურჯაანი დატოვეს

**გაუსაძლისი პირობების გამო გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში მცხოვრებმა ფერეიდნელმა ქართველებმა საცხოვრებელი სახლები დატოვეს და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში დაბრუნდნენ.**

„ირანში უკეთესი სოციალური პირობებია, აქ ცხოვრება კი ძალიან ძვირს. სახელმწიფო საერთოდ არ გვაქცევს ყურადღებას, ხშირად კვების პრობლემაც კი გვაქვს“, — თქვა ახმად ბათავანმა.

ამჟამად, სოფელ ახაშენში ფერეიდნელთა 3 ოჯახიღა შემორჩა და მათაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში უწევთ ცხოვრება.

ფერეიდნელი ქართველები კახეთში 1972 წელს ჩამოსახლდნენ. იმ დროისთვის ქართველები გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანშიც დამკვიდრდნენ, მაგრამ... დღეს, სამწუხაროდ, იქ არც ერთი ოჯახი აღარ ცხოვრობს.

იხ. 12 გვ.

მოგონება

# გობრონ ჯოხთაბერიძე ღირსეულ კაცად დარჩა

იგი დიდი კაცი გახლდათ მაშინ აფხაზეთში (ლაპარაკია საბჭოთა პერიოდზეც). სოხუმის ქალაქკომის პირველი მდივნობა, რაც პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრობასაც გულისხმობდა, რა თქმა უნდა, დიდკაცობასთან იყო წილნაყარი. თქვენი მონა-მორჩილი გობრონ ჯოხთაბერიძის ქალაქკომის პირველი მდივნობის პერიოდშიც, მანამდეც და შემდეგაც (60-იან-70-იან წლებშიც) საოლქო გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ კორესპონდენტად, განყოფილების გამგედ მუშაობდა. ბატონი გობრონისა და ჩემი თითებზე ჩამოსათვლელი შეხვედრები, ცხადია, მხოლოდ საქმიან ვითარებაში ხდებოდა, მაგრამ იმდენად მრავლისმთქმელი იყო ეს შეხვედრები, რომ ღირს თუნდაც ერთ მათგანზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება.



იმით მინდა დავიწყო, რომ ბატონი გობრონი ჭეშმარიტი ქართველის განსახიერება გახლდათ თავისი გარეგნობითაც და, რაც მთავარია, ცხოვრების წესით, ადამიანურობით. სწორედ ამან განაპირობა მაღალი თანამდებობის პიროვნებასა და ჟურნალისტს შორის საერთო ენის გამონახვა, რაც სანატრელი გაგვხდომია დღევანდელ საქართველოში.

რედაქციაში პირადად ჩემთან საჩივრით მოვიდა სამი ქალბატონი — დები, სოხუმის ერთ-ერთი სანიმუშო ტურბაზის (ასე იყო ცნობილი) თანამშრომელნი, რომელთაგან ერთი (უმცროსი) ფეხმძიმე გახლდათ. ტურბაზის ხელმძღვანელობა თავის მშენებარე სახლში დებს შეჰპირებოდა ან სამოთახიან ბინას, ან კიდევ ორ ბინას — ოროთახიანსა და ერთოთახიანს. ტურბაზის ხელმძღვანელობამ „დაივიწყა“ ეს დანაპირები და უკვე აშენებულ-დამშვენებულ შენობაში დებს მხოლოდ ერთი ოროთახიანი ბინა არგუნა უსასყიდლოდ, ხოლო მეორე ერთოთახიან ბინაში გარკვეული თანხა მოსთხოვეს (ბინების განაწილებაში ტურბაზის ხელმძღვანელობასთან ერთად, ცხადია, ქალაქის საბჭოც მონაწილეობდა).

რომ არა დაჟინებული თხოვნა დებისა, მე არც ვაპირებდი მათ მოსმენას. გავიგე თუ არა, რისთვის იყვნენ მოსულნი, მაშინვე ვთხოვე, რედაქტორთან (ფრიად სათნო ადამიანთან, აფსუების მიერ მხეცურად მოკლულ ხუტა ახალაიასთან) შესულიყვნენ, მაგრამ უკან გამოსული არ მინახავს ისინი, ისე გავედი რედაქციიდან. უკან მობრუნებულს მიხმო რედაქტორმა და — აბა, შენ იცი, როგორ გაამართლებ დების ნდობასო — ამ სიტყვებით გადმომცა ქაღალდზე აღბეჭდილი ჩემთვის უკვე ცნობილი საჩივარი.

იმაზე არაფერს ვიტყვი, რა ჯაფა და ნერვიულობა გადამხდა ცალკერძ ტურბაზის ხელმძღვანელობასთან და ცალკერძ ქალაქის საბჭოსთან „ჭიდილში“. საქმის კეთილად დამთავრებამ, როგორც ყოველთვის, ყველა უსიამოვნება დამავიწყა.

ბინები უკვე განაწილებული იყო, მაგრამ შევიტყვე, რომ დარჩენილი ჰქონდათ ერთადერთი ერთოთახიანი ბინა, რომელიც, ალბათ, გარკვეული თანხის საფასურად გაიცემოდა. მე არც ვაციე, არც ვაცხელე და უმცროსი და, ორსული ქალბატონი ვაიძულე, შესულიყო იმ თავისუფალ ერთოთახიან ბინაში და უკან არ გამოსულიყო დაკანონებამდე. შევიდა კიდევაც ჩემი და სხვათა დახმარებით. ამასობაში ჩემი მწვავე წერილიც გამოქვეყნდა — „ასე არ უნდა ნაწილდებოდეს ბინები“. და თავიც ქუდში მქონდა, თუმცა ბოლომდე ჯერ კიდევ არ იყო საქმე მისული. მართალია, მაშინ არ იყო საქართველოში ისეთი ძალადობა და ყაჩაღობა, როგორიც დღესაა, მაგრამ მაინც წინასწარ დავიჭირე თადარიგი იმასთან დაკავშირებით, რომ ის ორსული ქალბატონი საიმედოდ დაცული ყოფილიყო. მილიციის უფროსთან მივედი, რომელიც კარგად მიცნობდა და ვთხოვე იმ ქალბატონის უშიშროებაზე ეზრუნა. თან ჩემი გამოქვეყნებული წერილიც ვაჩვენე, რომელიც უკვე წაკითხული ჰქონდა.

საქმე მას შემდეგ დაგვირგვინდა, რაც ჩემი ინიციატივით გამართულ რედაქციის პარტიულ კრებას ასევე ჩემი ინიციატივითა და პირადი მოწვევით დაესწრო ბატონი გობრონ ჯოხთაბერიძე.

ვიდრე მთავარ სათქმელს ვიტყოდი კრებაზე, დიდი მადლობა გადავუხადე ბატონ გობრონს მობრძანებისთვის. ჩემი მთავარი სათქმელი კი ის იყო, რაც ქალაქკომის პირველმა მდივანმა ჯერ არ იცოდა, კერძოდ ის, რომ ხსენებული ორსული ქალბატონი ჩემი დაჟინებული თხოვნითა და დახმარებით უნებართვოდ შესახლდა თავისუფალ ერთოთახიან ბინაში. ეს ვთქვი და დავძინე: თუ ვინმე შეეცდება მის გამოსახლებას, მთელ ქვეყანას შევძრავ-მეთქი.

ამის თქმა და... ბატონი გობრონის გაღიმებულ სახეს მოვკარი თვალი.

ძალიან კარგადაც მოქცეულხართ, იმ ქალბატონს კი შეუძლია მშვიდად იყოს, თითსაც ვერავინ დააკარებსო — ბრძანა უკვე ფეხზე წამომდგარმა გობრონ ჯოხთაბერიძემ და ჩემს თვალწინ ერთიორად ამაღლდა ისედაც ტანადი ვაჟკაცი. მისი სიტყვა საქმით განაღდდა და განა მარტო ერთხელ? პირადად მე ამ მადლმოსილი ადამიანის თანადგომით არა ერთი და ორი სამადლო საქმე მიკეთებია. აგრემც მადლი ნუ მოაკლოს მამაზეციერმა მარადიულ ნათელში მყოფი გობრონ ჯოხთაბერიძის მეუღლეს ნელი გვილავას, მის შვილებსა და შვილიშვილებს.

ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და გობრონ ჯოხთაბერიძის ნაამაგარი სოხუმის მალე დაბრუნებას ვუსურვებ მათ.

**მიხეილ ჩაჩუა,**
ნოემბერი, 2008.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

ინფორმაცია

## აფთიაქზე თავდასხმა მკვლელობით დასრულდა

**ვაკეში, კავსაძის №4-ში მდებარე აფთიაქის დაყაჩაღების მცდელობას შემთხვევით გამვლელი ემსხვერპლა.**

მოკლული აბაშიძის ქუჩაზე მდებარე კაფე „დელ მარის“ თანამშრომელი, 47 წლის ირაკლი ვერულავაა.

კავსაძის №4-ში მდებარე აფთიაქში ნიღბიანი პირი შეიჭრა და ფარმაცევტისგან თანხის გამოძალვას ცდილობდა. ადგილზე მივიდა პოლიცია, რასაც ორმხრივი სროლა მოჰყვა.

არსებული ინფორმაციით, ვერულავას ყაჩაღის ნასროლი ტყვია მოხვდა. ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი გაქცეულია და მიმდინარეობს შესაბამისი სამძებრო ღონისძიებები.

კიდევ ერთი ტყვია „ფოლცვაგენის“ მარკის ავტომობილის შუშასაც მოხვდა. მძღოლი არ დაშავებულა.

ინტერპრესნიუსი

## სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახალხო ბანკის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

**სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერებს რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2008 წლის 26 დეკემბერს, 15 საათზე, ბანკის სათაო ოფისში მისამართზე: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №74, საკონფერენციო დარბაზი მე-6 სართულზე.**

**დღის წესრიგი:**

1. ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და შეფასება;
2. ბანკის დირექტორატის საქმიანობის განხილვა და შეფასება;
3. სხვა მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგის საკითხების ირგვლივ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატში.

დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტების მოთხოვნა დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოსგან როგორც კრებაზე (ზეპირადაც), ასევე წერილობით. თუ ამგვარი წერილობითი მოთხოვნა წარდგენილი იქნა დირექტორატში ან სამეთვალყურეო საბჭოში 2008 წლის 15 დეკემბრამდე, მასზე იქნება გაცემული პასუხი ან საკითხი განიხილება აქციონერთა რიგგარეშე კრებაზე.

სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ აქციონერთა 2008 წლის 26 დეკემბრის რიგგარეშე საერთო კრებაზე მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები (ან მათი წარმომადგენლებიც, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი შპს „კაპიტალ-რეგისტრი“, 2008 წლის 24 ნოემბრის (საღრიცხვო დღეც 18 საათის მდგომარეობით. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ 2008 წლის 15 დეკემბრის 10 საათიდან 25 დეკემბრის 18 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №80. ტელეფონი: 23-03-84.

**შპს „შშმპ-თა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი“, ქ. თბილისი, სპ. კედიას ქ. №7 აცხადებს კონკურსს ცენტრის ბალანსზე რიცხული ავტოფარეხის ფართის 19,1 კვ.მ-ზე. საწყისი საკონკურსო ღირებულებაა 4 აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარებში, დღგ-ს გარეშე. ცენტრის პრივატიზების შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად.**

**ობიექტის იჯარით გაცემის საკონკურსო პირობები:**

1. საიჯარო ვადა განისაზღვროს არა უმეტეს 1 წლით;
2. მოიჯარემ დროულად დაფაროს წყლის, ელენერგიის და დასუფთავების გადასახადები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება იწარმოებს გაზეთში გამოცხადების დღიდან ბოლო 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

კონკურსი გაიმართება შპს „შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის“ შენობაში 2008 წლის 19 დეკემბერს.

**მისამართი: ქ. თბილისი, სპ. კედიას ქ. №7. ტელ. 34-80-47.**

კახეთის მხარე

(მეთერთმეტე გვერდიდან)

## პოლიციის ყოფილ მაღალჩინოსანს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს

**გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მე-6 განყოფილების ყოფილ უფროსს ოთარ ბოლლოციშვილს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და დაზარალებულის სასარგებლოდ 10 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.**

როგორც ცნობილია, კახეთის საოლქო პროკურატურა ბოლლოციშვილს გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდის ყოფილი გამგებლის ალექსანდრე კვეზერელის განზრახ მკვლელობაში ადანაშაულებდა. მკვლელობა 2008 წლის აგვისტოში, გურჯაანის რაიონის სოფელ ზიარში მოხდა. პროკურატურის ინფორმაციით, პოლიციის პოლკოვნიკმა, ცეცხლსასროლი იარაღით კვეზერელს მაშინ ესროლა, როცა ის მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილიშვილებთან ერთად იმყოფებოდა.

გარდაცვლილის ახლობლების განცხადებით, კვეზერელსა და ბოლლოციშვილს შორის დაპირისპირება სოფელ ქოდალოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს უკავშირდებოდა, რომლის მისაკუთრებასაც ბოლლოციშვილი გეგმავდა.

## უკანონოდ დააკავეს და სცემეს

**შს გურჯაანის სამმართველოს თანამშრომლებმა ქ. გურჯაანში მცხოვრები გაგა პიტიურიშვილი სცემეს. პიტიურიშვილს აღენიშნება დაზიანებები თავისა და შუბლის მიდამოებში.**

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ინფორმაციით, სამართალდამცავებს პიტიურიშვილი ერთ-ერთი ქურდობის საქმესთან დაკავშირებით მოწმის სახით უნდა დაეკითხათ, მაგრამ მას მთელი ღამის განმავლობაში თავისუფლება უკანონოდ შეუზღუდეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

შს გურჯაანის სამმართველოს უფროსი სოსო მარტაშვილი პიტიურიშვილის ცემის ფაქტს უარყოფს. მომხდართან დაკავშირებით „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ რეაგირებისთვის გურჯაანის რაიონულ პროკურატურას მიმართა.

**ილია მარტყოფლიშვილი,**
კახეთიდან.

ხუმარსიტყვა

## დრო და ჟამის შესაფერად

*შენიშვნებს, რჩევებს, აზრებს უხვად აქ უბარდნია:*
*ქვეყნის დამხსნელთა კადრებს სჭედავს აქუბარდია...*

* * *

*გადაყენებულს მორევია ბოღმა იმდენი,*
*რომ პოლიტიკურ პარტიას ქმნის ნოღაიდელი...*

* * *

*სუპერსხდომაზე გაგვეჩითა „პასტატყორცნიად“ –*
*ღმერთმანი, ბრძოლის ეს მეთოდიც დასალოცია...*

* * *

*გასრულდა ეს კომისია ცირკად ამ ჩვენის ჟამისა,*
*ფარსი ვიხილე ისეთი, ჭკუას გადავცდე ლამისა...*

**თამაზ ილმელი**

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

ძვირფასო მკითხველო!

# ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა გაიაფდა!



თქვენი თანადგომისა გვჯერა

ფინანსური და ზნეობრივი პრობლემებით სავსე საქართველოში გაზეთმა **„საქართველოს რესპუბლიკამ“** შეინარჩუნა თავისი აკადემიური ტონი, პრინციპულობა და მიუკერძოებლობა, სითამამე და სიმართლე. ჩვენთვის არ არსებობს ყალბი ავტორიტეტები, ტაბუდადებული თემები, აკრძალული პრობლემები.

მკითხველთა აღიარებით **„საქართველოს რესპუბლიკა“** ყველაზე სანდო, დახვეწილი, კარგი ქართულით გამორჩეული, ტრადიციული, ჭეშმარიტად ეროვნული გაზეთია.

**წლეულს, გაგანია ომის წინა დღეებში, „საქართველოს რესპუბლიკას“** 90 (ოთხმოცდაათი) წელი შეუსრულდა!

რედაქციამ გადახედა თავის ფინანსურ შესაძლებლობებს და მოსახლეობის შეჭირვებული ყოფა-ცხოვრების გათვალისწინებით, გაძვირების ნაცვლად 2009 წლის იანვრიდან აიაფებს გაზეთზე ხელმოწერის ფასს. ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკა“ ერთი თვით მხოლოდ 10 ლარი ეღირება!

**ჩვენო ერთგულო მკითხველო! – შეატყობინეთ ყველას გაზეთის გაიაფების ამბავი და გამოიწერეთ ყოველდღიური, ყველაზე გაწონასწორებული, ყველაზე სანდო, ყველაზე ეროვნული „საქართველოს რესპუბლიკა“!**

შეგახსენებთ იმ ორგანიზაციებს, სადაც გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ: მაცნე – 37.47.49; 25.33.88; საქპრესა – 93.30.40; ექსპრესი – 93.66.78; უწყებანი – 93.64.72; ინფოსერვისი – 95.48.82; რუბიკონი – 96.45.69.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ რედაქციაში – კოსტავას ქ. №12. დაგვიკავშირდით ტელეფონებზე – 98.65.87, 899 79.76.79; 899 56.81.86.

**ბიზნესმენებს და რეკლამის ორგანიზატორებს შევახსენებთ, რომ ჩვენთან რეკლამა ყველაზე იაფი და მომგებიანია!**

გაიაფების შემდეგ გაზეთზე ხელმოწერა სამი თვით ღირს 30 ლარი, ექვსი თვით – 60 ლარი, ერთი წლით – 120 ლარი.

ჩვენი ინდექსია – 66434

**თქვენი თანადგომა ჩვენი გაზეთის აღორძინების ერთადერთი გზაა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!**

ინფორმაცია

## პროკურორთა როქი იმერეთში

ქუთაისისა და სამტრედიის მთავარმა პროკურორებმა თანამდებობები გაცვალეს. საკადრო გადაადგილება ორივე ქალაქის პროკურატურაში გუშინ განხორციელდა.

ქუთაისის პროკურორად 29 წლის ზაზა ცხაკაია დაინიშნა. მან ჯუმბერ ლელაძე შეცვალა, შესაბამისად, ლელაძე სამტრედიის პროკურორი გახდა.

როგორც დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში აცხადებენ, საკადრო როტაციები სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც განხორციელდება.

ინტერპრესნიუსი

ანეკდოტები

მაგარი ალკოჰოლური სასმელების მიღების დოზები:

100 – ყველაფრის თავიდან დაწყება და კიდევ ერთი ჭიქის გადაკვრა გსურთ.

200 – ყველა ახლო მყოფი გიყვართ, განსაკუთრებით, თუ ეს ახლო მყოფი ქალია.



300 – თითქოს თვალები აგეხილათ – ირგვლივ ყველა თქვენი ძმაა და ეძებთ, რომელ მათგანს გამოსჭრათ ყელი.

400 – გარშემო ყველა პირუტყვია.

500 – ფილოსოფიური დოზაა. ტვინი გენიალური იდეებითაა სავსე, მაგრამ ამ უწმინდურ პირს ნორმალური რუსულით არ შეუძლია მათი გამოთქმა.

600 – თავბრუდამხვევ სიმაღლეზე ამაღლდებით, მთელ სამყაროზე, რომლის დანახვაზეც, რატომღაც, გული გერევათ.

700-800 – არაფერი არ გახსოვთ, მაგრამ თვითმხილველნი გიმტკიცებენ, რომ ყველაფერი თქვენ დაამსხვრიეთ, – ე. ი. გვარში ვიღაც უთუოდ გყოლიათ დევგმირი.

900 – გულის მომკვლელი გრძნობა გიჩნდებათ – ცხოვრება თითქოს ჩავლილია, თქვენ კი არც ხე აგიშენებიათ, არც სახლი გაგიჩენიათ და არც ბავშვი დაგირგავთ. ამიტომ ყველაფრის თავიდან დაწყება და აღგომა გსურთ, მაგრამ თავს ვერ წევთ და ოფიციანტს ეძახით: კიდევასი გრამი...

1000 – ესეც ასე – ქვეყნიერებას კიდევ ერთი ლიტრი არაყი დააკლდა.

* * *

ბავშვები სკოლაში იმაზე კამათობენ, რა არის ყველაზე სწრაფი.

– ყველაზე სწრაფი სიტყვაა, – ამბობს დაშა, – იტყვი და ვერ დაეწევი.

– ყველაზე სწრაფი სინათლეა, – ამტკიცებს პეტკა, – ჩართვას ვერ მოასწრებ, რომ უკვე ანთია.

– მე კიდევ ამას წინათ კუჭი მქონდა აშლილი, – ამბობს ვოვა, – და ვერც სიტყვის დაძვრა მოვასწარი და ვერც შუქის ანთება.

* * *

მამაკაცი საწოლში ქალის შესატყუებლად, პრინციპში, ნებისმიერ სიმდაბლეზეა წამსვლელი.

ამაში მას მხოლოდ იმ ქალმა შეიძლება აჯობოს, ვისაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გათხოვება.

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
გამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.